


საქართველოს



იმისთანა წმინდა საცმეში,
ბრძოლით ბეჭდუდი სიფყვას,
ცყილებით და ჭაბუბით ბუბთის
გაცანა ყულა უჯადისდბაჭე
უსამაგლესია.

 **დაარსებულია**
1918 წელს.



პარასკევი, 4 ოქტომბერი, 2013 წელი.
№191 (7318)

რუსულში

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge ვებ გვერდი: www.open.ge ფასი 50 თეთრი.

უსაფრთხოების ერთადერთი ② გარანტი უსს-ა

„ნების უზღავსა ყოფილიყო
იმ მომენტში, ლიფში ④
რომ მოწყდა და ჩაპრდა“



რუსეთს ღობეების მოშლისკენ მოუწოდებენ

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი შეშფო-
თებას გამოთქვამს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების ადმი-
ნისტრაციულ სასაზღვრო ზოლთან რუსი სამხედროების მიერ ღობეები-
სა და სხვა ფიზიკური ბარიერების აღმართვის გამო. დეპარტამენტი რუ-
სეთს ღობეების მოშლისკენ მოუწოდებს.

განცხადება ამის შესახებ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის სპიკერის
მოადგილემ მარი ჰარფმა ჟურნალისტებთან ბრიფინგის დროს გააკეთა.

– ეს პროცესი არ შეესაბამება რუსეთის საერთაშორისო ვალდებულე-
ბებს და არღვევს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლი-
ანობას, მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში. ასევე, ზიანს აყენებს
ორ მხარეს შორის ნდობას, სირთულეებს უქმნის საზღვრის ორივე მხარეს
მცხოვრებ მოქალაქეებს. მოვუწოდებთ რუსეთს, მოშალოს ღობეები და სა-
ქართველოს კონფლიქტთან დაკავშირებული საკითხებით უწყვეტად მოლა-
პარაკებებზე გამოვიდეს, – განაცხადა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენ-
ტის წარმომადგენელმა მარი ჰარფმა.

ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა საქართველოს გამოაქოვება ⑧

მედიაკოკონა

გაპაუზნოთ ტყე,
უიფისოდ ქვეყანა
ვერ გაღარჩება ④

ვაჰ, მეღიავ,
რა შიბან ხარ, ③
რას გვაბრუნებ,
რა ზნე გჭირსა...



ანაკლია –
ვულკანური
ინფრასტრუქტურული
პროექტი ⑥

ალექსანდრე თვალჭრელიძე:

პრემიერი ოდნავ
შეუფოთებულა, რომ
საზოგადოებას
ქარბაღ არ აქვს ⑦
გაცნობიერებული,
რას აკეთებს მთავრობა

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სვავბან ვერ ნახავ!..

განცხადება

უსაფრთხოების ერთადერთი ბარანტი უსს-ა

სამართლებრივ შინაგან საქმეთა სამინისტრო საოკუპაციო ზოლთან არსებულ ვითარებაზე განცხადებას ავრცელებს. როგორც უსს-ს მიერ გავრცელებულ განცხადებაშია აღნიშნული, ოკუპაციის ხაზის მიმდებარე სოფლებში უსაფრთხოების ერთადერთი ბარანტი უსს-ის წარმომადგენელთა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წინააღმდეგობაა.

„ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის მიმართულეზაზე რუსეთის საოკუპაციო ძალების მიერ მავთულხლართების მონტაჟის პროცესი დაიწყო 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ. აღნიშნული პროცესი 2009-2012 წლებში ეტაპობრივად გაგრძელდა გორის, ქარელისა და კასპის რაიონების სოფლებში.

მავთულხლართების, ლობხებისა და მინათხრების მონტაჟის პროცესმა ოკუპირებული ცხინვალისა და აფხაზეთის რეგიონებში ინტენსიური ხასიათი შეიძინა 2013 წელს და სწრაფი ტემპით გაგრძელდა გორის, ქარელის, ახალგორისა და ზუგდიდის რაიონების სოფლებში.

რუსეთის საოკუპაციო ძალების მიერ ამ უკანონო ქმედებების დაწყების მომენტიდან უსს სხვა სახელმწიფო უწყებებთან ერთად, სისტემატურად განიხილავს აღნიშნულ პრობლემას და მას უპირველეს საკითხად აყენებს, როგორც ინციდენტების პრევენციის და მათზე რეაგირების მექანიზმის, ასევე შედეგის დისკუსიების ფორმატის ფარგლებში.

შემოთ აღნიშნული საკითხის განხილვისას, შენევისა და იპრ-ის ფორმატებში გამართულ შეხვედრებზე, ოკუპირებული რეგიონების დე ფაქტო ხელი-სუფლებებისა და რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლების მხრიდან განხილული წინააღმდეგობის მიუხედავად, უსს კვლავაც აგრძელებს მის ხელთ არსებული ყველა ინსტრუმენტის გამოყენებას, რათა ადგილზე მოხდეს სტაბილურობის უზრუნველყოფა და თავიდან იქნას აცილებული ვითარების ესკალაცია.

შინაგან საქმეთა სამინისტრო აღნიშნული პრობლემის მოგვარებაში ჩართულ სხვა სახელმწიფო უწყებებთან და

საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად ახორციელებს საერთაშორისო თანამეგობრობის მაქსიმალურ ინფორმირებას ოკუპაციის ხაზთან შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით, რაც მიზნად ისახავს პარტნიორ სახელმწიფოთა ჩართულობის ხარისხის გაზრდას, რათა მოხდეს პრობლემის მშვიდობიანი დარეგულირება.

მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, უსს გაცნობიერებული ოკუპირებული ტერიტორიებისა და ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ მიმდინარე წელს განხორციელებულ ცალკეულ ღონისძიებათა ჩამონათვალს:

● სამინისტრო ჩართულია ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმში (8 შეხვედრა) და შედეგის მოლაპარაკებებში (3 რაუნდი).

● სამინისტროს მიერ ორგანიზებულ ყველა მაღალი დონის შეხვედრებზე, მათ შორის, მინისტრის ყველა ოფიციალური ვიზიტისას, პარტნიორი სახელმწიფოების აღმასრულებელ თუ საკანონმდებლო ორგანოებთან უპირველეს საკითხად დგება საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული ვითარება, დე ფაქტო განხილვა შექმნილი მდგომარეობა და არსებული გამოწვევები.

● ოკუპაციის ხაზის მიმდებარე რიგ სოფლებში გაზრდილი იქნა მობილური პატრულების ჯგუფების რაოდენობა და დამატებული იქნა დროებითი საგუშაგოები.

● დიპლომატიური კორპუსისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, უსს-ს თაოსნობით, მრავალჯერ იმყოფებოდნენ ოკუპაციის ხაზის მიმდებარე სოფლებში არსებული ვითარების ადგილზე გასაცნობად.

● სამინისტრო მჭიდროდ თანამშრომლობს საქართველოში ევროკავშირის მონიტორინგის მისიასთან და ყოველდღიური კომუნიკაციის და ე.წ. „ცხელი ხაზის“ მექანიზმის ფარგლებში, ეფექტურად მოქმედებს ოკუპაციის ხაზის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობის პრობლემების გადაჭრაში.

● უსს აქტიურად თანამშრომლობს

ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის ოფისთან, ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციასთან ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული ვითარების შესახებ ინფორმაციის გაზიარების კუთხით.

● აქტიურად თანამშრომლობს გაეროს წარმომადგენლობასთან აფხაზეთის მიმართულეზაზე ოკუპირების განახლების უზრუნველყოფისა და ოკუპირებულ აფხაზეთში საქართველოს მოქალაქეთა უფლებების დაცვის კუთხით.

● სამინისტრომ შეხვედრები გამართა შიდა ქართლის, მცხეთა-მთიანეთის, იმერეთისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონების მოსახლეობასთან და თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ადგილზე უსაფრთხოებისა და ოკუპაციის ხაზის მიმდებარე სოფლებში არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით ინფორმაციის შეგროვების მიზნით.

● სამინისტროს უშუალო მონაწილეობით საოკუპაციო ზოლზე არაერთგზის აცილებულ იქნა ოკუპანტების მხრიდან დაგეგმილი სხვადასხვა სახის პროვოკაცია.

● მავთულხლართების, ლობხებისა და მინათხრების ინსტალაციის პროცესთან დაკავშირებით მოწყო პრევენციები, როგორც საქართველოს პარლამენტის, ასევე დიპლომატიისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წევრებთან. ასევე სისტემატურად მიმდინარეობს აღნიშნული ინფორმაცია უსს-სთან ურთიერთობის მექანიზმების კოლეგებს.

● სამინისტრო აქტიურად არის ჩართული ოკუპანტებისა და დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენელთა მიერ უკანონოდ დაკავებულ საქართველოს მოქალაქეთა გათავისუფლების პროცესში.

● სამინისტრო ეფექტურად თანამშრომლობს ჰუმანიტარული პროფილის სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციასთან, რითაც ხელს უწყობს ოკუპირებული ტერიტორიებიდან მოსახლეობის გადაადგილებას როგორც სამედიცინო თვალსაზრისით, ასევე სხვა ჰუმანიტარული მიზნებით. ასევე ჩართულია უზრუნველყოფა და დე ფაქტო პირთა მოძიების პროცესში და კოორდინირებას უწევს ოკუპაციის ხაზის მიმდებარე ტერიტორიების განაღობის საშუალებებს.

აქვე კიდევ ერთხელ გვსურს განაცხადოთ, რომ ოკუპაციის ხაზის მიმდებარე სოფლებში უსაფრთხოების ერთადერთი ბარანტი უსს-ის წარმომადგენელთა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, რომელიც ყოველდღიურად ახორციელებს ღონისძიებებს ადგილობრივი მოსახლეობის მეტი დაცულობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით.

პრეზიდენტობის კანდიდატი

პერ გავიბე, რა პოზიციას აქვთ ხელისუფლების უმაღლეს პირებს საოკუპაციო ხაზთან დაკავშირებით

„დემოკრატიული მოძრაობის“ საპრეზიდენტო კანდიდატი ნინო ბურჯანაძე საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიური კორპუსის ხელმძღვანელებთან შეხვედრებს აგრძელებს.



პარტიის პრესამსახურის ინფორმაციით, შეხვედრები უკვე გამართა ესტონეთის, შვეიცარიის, აშშ-ს, შვედეთის სამეფოს, იტალიის, პოლონეთის, თურქეთის, ლატვიის, ნიდერლანდების, ბულგარეთის, ევროკავშირის ელჩებთან.

„დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი გუშინ საფრანგეთის ელჩს საქართველოში რენო სალენსს შეხვდა. შეხვედრაზე საუბრის ძირითადი თემა შეეხო საოკუპაციო ხაზთან მიმდინარე მოვლენებს.

პარტიის პრესამსახურის ინფორმაციით, საფრანგეთის ელჩი ასევე დაინტერესდა წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას სამართალდარღვევათა კონკრეტული ფაქტებით და ნინო ბურჯანაძის შეხვედრებით არჩევნების მოდერნიზაციის დაკავშირებით.

„დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერმა აღნიშნა, რომ სერიოზული მხარდაჭერა იქნება ქვეყნისთვის დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლების ვიზიტი საოკუპაციო ხაზთან.

თუმცა, მე მაქვს პრეტენზიები ჩვენს დღევანდელ ხელისუფლებასთან, რომელიც აბსოლუტურად არაქმედითი და არაეფექტურია. მე წესიერად ისიც ვი ვერ გავიგე, რა პოზიციას აქვთ ხელისუფლების უმაღლეს პირებს. ისინი საუბრობენ ყველასთან და ყველაფერზე, გარდა იმისა, რაც ყველაზე მტკივნეული და უმთავრესი თემაა ქვეყნისათვის, — განაცხადა ბურჯანაძემ.

მისივე თქმით, მიუხედავად იმისა, რომ წინასაარჩევნო გარემო ბევრად თავისუფალია, კამპანია არასამართლიანად და არათანაბარ გარემოში მიმდინარეობს.

ძირითადი კონკურენტებისგან განსხვავებით, ნინო ბურჯანაძეს არ აქვს შესაძლებლობა ისარგებლოს უფასო სარეკლამო დროით, საარჩევნო კომისიები და კომპლექტებულია მხოლოდ კონკრეტული პარტიების წარმომადგენლებით და ა.შ. ყველა ელჩისთვის უცნაურია ფორმულირება, რომლის გამოც ნინო ბურჯანაძეს არ მიეცა არც დაფინანსება და არც უფასო საეთერო დრო, რადგან ევროპული პრაქტიკა, რაზეც ხშირად ლაპარაკობენ ჩვენი ე.წ. პროდასავლური პოლიტიკოსები, სწორედ იმას ითვალისწინებს, რომ ყველა საპრეზიდენტო კანდიდატს უნდა ჰქონდეს თანაბარი პირობები, — აცხადებდა პარტიაში.

ნინო ბურჯანაძის თქმით, „დემოკრატიული მოძრაობამ“ უკვე მიმართა ცენტრალურ საარჩევნო კომისიასა და მარეგულირებელ კომისიას უფასო საეთერო დროის გამოყოფასთან დაკავშირებით. იგი იმედს იტოვებს, რომ მათი მხრიდან ობიექტური გადაწყვეტილება იქნება მიღებული.

ვიდეოტაროვი

მან. ჯიპაძის ვიდეოს საქმეზე ბრალდებულია ვირგიზეთის მოქალაქე სამარ ჩოკუტაევი, რომელიც ამჟამად საქართველოს არაკონტროლირებად ტერიტორიაზე იმყოფება. — ამის შესახებ უსს-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა ნინო გიორგობიანიმა გუშინდელ ბრიფინგზე განაცხადა.

— შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მიერ ჩატარებული ინტენსიური საგამოძიებო და ოპერატიული-ტექნიკური ღონისძიებების შედეგად დადგინდა დანაშაულის ჩამდენი პირი — 1989 წლის 6 მარტს დაბადებული ვირგიზეთის მოქალაქე სამარ ჩოკუტაევი, რომელიც სოხუმში მობილური კავშირგაბმულობის ერთ-ერთ კომპანიაში მუშაობს.

მის მიმართ დაწყებულია სისხლისსამართლებრივი დევნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 330-ე პრიმა მუხლით.

სამარ ჩოკუტაევის ბრალი დაედო „საქვეყნოდ ინფორმაციის გავრცელებაში ტერორისტული აქტის ჩადენისაკენ მოწოდების მიზნით, რაც წარმოშობს ასეთი დანაშაულის ჩადენის საფრთხეს“.

საქმეზე შეკრებილ მტკიცებულებათა ერთობლიობით დადგინდა, რომ ბრალდებულს სამარ ჩოკუტაევი არის მაღალი კვალიფიკაციის IT სპეციალისტი და დანაშაული მან საქართველოს არაკონტროლირებად ტერიტორიაზე ჩადინა, კერძოდ, 2013 წლის 4 ივნისს ბრალდებულმა სამარ ჩოკუტაევი ინტერნეტ სივრცეში მომხმარებელ Hammad Zaman-ის სახელით განათავსა ვიდეორგოლი, რომელიც შეიცავს ავღანეთში მყოფი საქართველოს შეიარაღებული ძალების და საქართველოს პრეზიდენტის მიმართ მუქარას.

ვიდეორგოლისა და ბრალდებულის მიერ დანაშაულის ჩადენისას გამოყენებული ტექნოლოგიის დეტალური შესწავლისა და სა-

„ჯიპაძის ვიდეოს“ გადაგების პინაობა ცნობილია

თანადო ექსპერტიზის ჩატარების შედეგად დადგინდა: — ვიდეომასალა, რომელიც გამოყენებულია მუქარის შემცველი ვიდეორგოლის შესაქმნელად, მოპოვებულია თავისუფალი წვდომის ინტერნეტსივრცეში, რგოლი შექმნილია ამ ვიდეომასალის დამონტაჟების შედეგად და მის დასამზადებლად ავტორს არ დასჭირვებია რომელიმე ქართული ტელეკომპანიის ვიდეორეჟისორის უშუალო, ანუ ფიზიკური წვდომა; დანაშაული ჩადენილია აფხაზეთის ოკუპირებული ტერიტორიიდან.

კვალის დაფარვის მიზნით, სამარ ჩოკუტაევი გამოიყენა ქართული GSM ოპერატორების (მაგთიკომი, ჯეოსელი, მობილელი) USB ინტერნეტ-მოდემები. აღსანიშნავია, რომ აფხაზეთის ტერიტორიის გარკვეულ ნაწილზე ვიდეოდება საქართველოში მოქმედი სამივე GSM ოპერატორის სისშირე, თავად ანები კი, რომლებითაც ბრალდებული სარგებლობდა, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზეა განლაგებული.

გამოძიებით დადგინდა, რომ სამარ ჩოკუტაევი, აფხაზეთის ოკუპირებული ტერი-



ტორიიდან, მაღალიზაში წინასწარ მომზადებული სერვერის გამოყენებით, დაზიარებული ხაზით შეაღწია ქ.თბილისში, ორ სხვადასხვა მისამართზე მდებარე კერძო სტრუქტურათა ოფისების ინტერნეტ-ქსელში და კვალის არევის მიზნით, იმგვარად ატვირთა მუქარის შექმნის ვიდეორგოლი აღნიშნულ ოფისებში განთავსებული როუტერების გამოყენებით, რომ შექმნილიყო შთაბეჭდილება, თითქოს დანაშაული ამ ოფისების მიმდებარე ტერიტორიაზე იქნა ჩადენილი. შეგახსენებთ, რომ გამოძიების საწყის ეტაპზე, სწორედ თბილისში განთავსებული IP მისამართები იქნა იდენტიფიცირებული ქართველი სამართალდამცველების მიერ, — აღნიშნა გიორგობიანი.

თის ღონისძიებად დაუსწრებლად შეუფარდა პატიმრობა.

ამჟამად ხორციელდება ბრალდებულის ძებნის ღონისძიებები როგორც საქართველოში, ასევე საქართველოს ფარგლებს გარეთ.

შინაგან საქმეთა სამინისტრო მაღლობას უხდის მოკავშირე ქვეყნების სპეცსამსახურებს ამ საქმის გამოძიებაში განუხლები ქმედითი დახმარებისათვის, — აღნიშნა გიორგობიანი.

დამატებით ცნობილი გახდა, რომ სამარ ჩოკუტაევი, ცენტრალური აზიის ქვეყნების აიტი სპეციალისტების კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე ერთ-ერთი სპეციალისტი იყო. შესაბამისი ინფორმაცია და ფოტოები საიტზე <http://www.it.kg> არის გავრცელებული.

კურსი 2012 წლის 6 თებერვლიდან 2 მარტის ჩათვლით ვირგიზეთში გაიმართა, რომელშიც მონაწილეობას ლეზულობდნენ აიტი სპეციალისტები ყაზახეთიდან, ტაჯიკეთიდან, თურქმენეთიდან და ასევე 3 აიტი სპეციალისტი ავღანეთიდან.

ენ „ჯიპაძის“ ვიდეოს საქმეზე ბრალდებული სამარ ჩოკუტაევი, სოციალურ ქსელში „ვკონტაქტ“ და „ფეისბუქში“ იბეჭენება. ჩოკუტაევის პროფილზე სამუშაო ადგილად მითითებული აქვს კომპანია „აქუაფონი“, რომელიც აფხაზეთის მობილური კავშირგაბმულობის კომპანიაა.

დაბადების თარიღად მითითებულია 1989 წლის 6 მარტი, რაც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ მონაცემებს ემთხვევა.

ჩოკუტაევი სოხუმში ცხოვრობს და მას სოციალური ქსელში სამსახურში ადგილზე გადაღებული ფოტოებიც აქვს გავრცელებული.

ინფორმაცია

შთაბეჭდილება

მბრძოლვე რა არის მედია? საიდან მოდის და სად მიდის??

როგორი უნდა იყოს? რას უნდა გვთავაზობდეს? უნდა გვაფხიზლებდეს თუ უნდა გვაგვიშინებდეს? თუ „ნანას“ უნდა გვიმღეროდეს და შექარცინულივით გვატკბობდეს?

სინამდვილეში ჩვენ ეს არ ვიცით. ვიცით, რომ მედია უნდა ასახავდეს სიმართლეს!

ადვილი სათქმელია და რომელ სიმართლეს, მაბატიეთ?

განა ეკვა კვესტიონის სიმართლე როდესმე რამეთი დაემსგავსებდა ნინო ჟიჟილაშვილის სიმართლეს? განა როდესმე ერთ ტემბრში და ერთნაირი არგუმენტებით მოჰყვებიან სიმართლეს თამარ ჩერგოლეიშვილი და ია ანთაძე?

მედია უნდა იყოს ხალხის – საზოგადოების ინტერესების სადარაჯოზე! სწორია! მაგრამ სად გადიოდა ეს საზოგადოების ინტერესების სადარაჯო 2003-ში? 2004-ში? 2005-ში? 2006-ში? 2007-ში? 2008-ში? 2009-ში? 2010-ში? 2011-ში?

და ვინ ავლებდა ამ სადარაჯოს წრფეს? – ინგა გრიგოლია თუ ნანა ლეჟავა? თუ – ნანუკა ჟორჟოლიანი?

და თუ ვინმეს აკრიტიკებს მედია – ვინც არ უნდა იყოს ეს კრიტიკის ობიექტი – რომელიმე ყოფილი ფუნქციონერი იქნება, თუ მოქმედი პრემიერ-მინისტრი, აქვს თუ არა ამ პიროვნებას კრიტიკაზე პასუხის უფლება? რა თქმა უნდა აქვს! სხვანაირად ხომ გამოვა, რომ მედია კი არაა, რელიგიური დოგმა ყოფილა?!

და თუ აქვს კრიტიკაზე პასუხის უფლება, როგორ უნდა გამოიყენოს ეს უფლება – იგნორიზებენ? კონკრეტული დამრღვევის მიმართ სასამართლოს მიმართოს? თუ უბრალოდ განაცხადოს, რომ ეს და ეს კრიტიკა არ იყო არგუმენტირებული და მომავალში მაინც ნუ გააკეთებთ ასეო?

გგონიათ, რომ ბიძინა ივანიშვილის დაცვას ვაპირებ და ჟურნალისტებთან მისი შეხვედრა სწორი ფორმატის არჩევნად მიმაჩნია?

ცდებით... მე მხოლოდ ის ვთქვი, რომ ბიძინა ივანიშვილს, ისევე როგორც ნებისმიერ სხვა მოქალაქეს (და არამოქალაქესაც), აქვს უფლება კრიტიკაზე არგუმენტაცია მოითხოვოს, თავისი კონტრარგუმენტაცია მოიშველიოს, თუ საჭიროდ მიიჩნევს – სტატია გამოაქვეყნოს, და თუ გადაწყვეტს – სასამართლოშიც იჩივლოს.

მაგრამ ის, რაც დღეს ვიხილავ, ჩემი აზრით არ იყო სწორი არჩევანი.

როდესაც ვინმეს ხელისუფლება აქვს, მას მეტი პასუხისმგებლობა უნდა ჰქონდეს კიდევ. და ძალიან ფრთხილად უნდა იყოს, რომ მისი ნაბიჯები არ (და ვერ!) შეფხედეს ზენოლად, ანგარიშსწორებად, დაშინების მცდელობად, კრიტიკის ჩახშობად, პირის აკვრად და მედიის კონტროლად! ამიტომ, რამდენადაც საქმე არა საშუალო რანგის ყოფილი ფუნქციონერს, არამედ მოქმედ პრემიერ-მინისტრს ეხება, ნამდვილად აჯობებდა, ეს შეხვედრა ან საერთოდ არ ყოფილიყო, ან პრემიერის რეზიდენციაში მაინც არ ყოფილიყო. აბსოლუტურად უნდა გამოორიგებულიყო იმის მიწინააღმდეგე, რომ პრემიერ-მინისტრი უფრო კომფორტულად იგრძნობდა თავს, თუ მედია ნაკლებს გააკრიტიკებდა მას და მთავრობას, მეტ კარგს დაწერდა და ქებით მოიხსენებდა.

მედია ნამდვილად არ არის კეთილშობილ ქალთა პანსიონი და სადაც მედია იქცევა ისე, როგორც კეთილშობილ ქალთა პანსიონში, იქ ხშირად უკვე საკმაოდ რესპექტაბელური ბორდელია ჩამოყალიბებული.

რატომღაც მგონია, რომ პრემიერის იმდღევანდელი შეხვედრა უფრო მომგებიანი სწორედ იმ ჟურნალისტებისათვის აღმოჩნდა, ვისაც პრემიერმა დიდი დრო დაუთმო. ჩემი აზრით, ინგა გრიგოლიას საკმაოდ შეფერხებულმა რეიტინგმა სერიოზულად იმატა და ქნი ინგა იმდღევანდელი შეხვედრიდან მაქსიმალურად გამოიურავს დივიდენდებს. თორემ აგერა ხართ თქვენ და აგერაა ინგაც!..

პრემიერ-მინისტრის მხრიდან საუკეთესო დაცვა და პრევენციაც არა იმდღევანდელი შეხვედრა, არამედ ის მინისტრები იყვნენ, ვინც უკვე მოინახულა დვანი და დიციც და ვინც, დარწმუნებული ვარ, კიდევ უფრო ხშირად გამოჩნდება იქ მომა-

ვალში. პრემიერის საუკეთესო თავდაცვა იქნება არა ნინო ჯანგირაშვილის ეკონომიკური ცოდნის პირადად შემოწმება, არამედ ეკონომიკის სფეროში წინააღმდეგობრივი ნაბიჯები – როგორც ინვესტიციების მხრივ, ასევე, ამ ინვესტიციების კარგად და კონკრეტულად გაშუქების მხრივ! თუ არ მოგვინოს, რას წერს მედია მთავრობის საქმიანობაზე, მოდით, ისიც ვიკითხოთ, რამდენ პრესრელიზს აწვდიან შესაბამისი სამინისტროს წარმომადგენლები და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურები მედიას? სადაც სამინისტროს ოფიციალური პირები მედიასთან რეგულარულად ურთიერთობენ, დაიჯერო, იმ სამინისტროების შესახებაც არავითარი პოზიტიური ნიუსი არ ვრცელდება? თუ მიხედავთ, სააკაშვილის მთავარი იდეოლოგ პროპაგანდისტი თამარ ჩერგოლეიშვილი ახერხებს, რომ საელჩოებს, დიპლომატებს, ბიზნესმენებს ინგლისურენოვანი შხამიანი „ტაბულა“ ციმციმ მიაართვას, პრემიერ-მი-

ური და შეფარული ურნალისტიც იყო. და ზოგიერთები კიდევ როგორ უდროოდ დააკლდნენ ახლახანს...

თუ პრემიერის მხრიდან ცოტა უხერხულიც იყო თავის თავზე რამდენჯერმე გამოვრებული ფრაზა, იმის თაობაზე, როგორ რისკზე და პოტენციურ მსხვერპლზე წავიდა იგი, როცა პოლიტიკურ ბრძოლაში ჩაება (თავდაცვა აღნიშნა ეს უხერხულობა), ჟურნალისტების მხრიდან მართლაც ცოტა უმადურობას ჰგავს ამ ფაქტის სრული იგნორირება.

თუ პრემიერის მხრიდან ტონი მიუღებელი იყო და მართლაც გამოსჭვავოდა სურვილი იმისა, რომ ასწავლოს ჟურნალისტებს, სად, რა და როგორ თქვან, და როგორი არგუმენტები მოიყვანონ (ვიმეორებ, რომ არა ივანიშვილის სტატუსი, ეს შეიძლება არც ისე მიუღებელი ყოფილიყო საკუთარი კრიტიკით გაღიზიანებული რიგითი მოქალაქის მხრიდან), ასევე ნაკლებად მისაღები მგონია ჟურნალისტების

მედიაკონა

პპ, მედია, რა შიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა წნე გჭირს...



ნისტრის აპარატის შესაბამისი სამსახური უნდა ახერხებდეს ყოველკვირეული ინგლისურენოვანი დაიჯესტის გამოშვებას და გავრცელებას? მართალია, ბოლო 2 თვეა ასეთ დაიჯესტს – CGS Group Weekly Report on Georgia/Caucasus მე პირადად უკვე ვღებულობ ელექტრონული ფოსტით ყოველ სამშაბათს, მაგრამ ეს მაინც არ არის მთავრობის ოფიციალური ორგანო, და თან არაა გამოორიგებული, რომ სხვა პრობლემაც იყოს – უკვე ინგლისურად კი არის, მაგრამ ქართულად თუ იღებს ანალოგიურ დაიჯესტს ქართული მედია?

პრემიერ-მინისტრის აპარატი ძალიან ბევრ ნიჭიერ ადამიანს აერთიანებს, რომელთაც მედიასთან და არასამთავრობო სექტორთან ურთიერთობა ნამდვილად არ უნდა უჭირდეთ – ნათია ლაზაშვილი, კოკაყანდიასილი, თამარ ჩუგოშვილი... დავიჯერო, ისინი უფრო უმტკივნეულოდ არ მიიტანდნენ ივანიშვილის გულსტეკივს და სათქმელს ქართული პოლიტიკური ტელემედიის წარმომადგენლებთან?

არ ვიცი, ხელმძღვანელობს თუ არა ბატონი ბიძინა ნაპოლეონის დევიზით – „თუ გინდა, რომ საქმე კარგად გაკეთდეს, თავად გააკეთეო“, მაგრამ ვშიშობ, ეს ფრაზა დღეს აქსიომად კი არაა, აფორიზმადაც უკვე ძნელად თუ ჩაითვლება.

მაგრამ ეს ყველაფერი იმიტომ არ მითქვამს, რომ ამ შეხვედრაზე მედია უპირობო გამარჯვებულია, ან უპირობოდ მართალ მხარედ მიმაჩნია...

სამწუხაროდ, შეხვედრამ კიდევ ერთხელ დაგვანახვა, რომ ქართული მედია და, კერძოდ ტელემედია, მათი წარმომადგენლების დიდი ნაწილის სახით, საკმაოდ მწყრალადაა თავის წილი პასუხისმგებლობის აღებაზე და გაღმა შედგება მიწინააღმდეგე თავდაცვად. თუ პროფესიონალიზმის ხშირ დეფიციტსაც გავითვალისწინებთ, და იმასაც, რომ კრიტიკის არგუმენტაციის თაობაზე თხოვნა საკმაოდ ლოკიკურია, და ისიც, რომ მხოლოდ ერთი მხარის წარმომადგენელი რესპონდენტის ჩანერა ვერ ჩაითვლება ჟურნალისტურ სტანდარტად... მოკლედ, საკრიტიკო ნამდვილად შეიძლება ბევრი მოინახოს ქართველი ჟურნალისტების მიმართ...

და აბა, ურნალისტებზე რაღა უნდა ითქვას?! და იმ შეხვედრაზე რამდენიმე ტი-

მხრიდან პრემიერისათვის იმის კატეგორიული ტონით რჩევა, როდის და სად უნდა ჩავიდეს.

თუ ბიძინა ივანიშვილის მხრიდან შეთავაზებულ შეხვედრას მხოლოდ უარყოფით კონტექსტში განიხილავენ, რატომ არ ისვენებენ იმას, რომ მიხედავს სააკაშვილი მათ დიდ ნაწილს (რამდენიმე რჩეული ურნალისტის გარდა), წლების განმავლობაში არამცთუ არ შეხვედრია, საერთოდ წერილობითი ურთიერთობის სურვილიც არ გასჩენია! ნუთუ ვერ ხვდებიან, რომ თუ ბიძინა ივანიშვილის მხრიდან გულწრფელად გამოხატული ჭკუის დარიგება აღმაშფოთებლად მიაჩნიათ, ხოლო მიხედავს სააკაშვილის მხრიდან კარგად შენიღბულ, მაგრამ ყველასთვის გასაგებ ტვინების გასწორებაზე დუმდნენ, დუმდნენ იმაზე, ნაცემოდარობის რეკვიზიტ როგორ მოსპო და მიითვისა 12-დან 11 დამოუკიდებელი ტელევიზია, როგორ დახატა უამტკივნეულოდ და ჟურნალი, როგორ და რატომ დაარბიეს „იმედი“, რა გაუკეთეს ვახო კომახიძეს, როგორ ებრძოდნენ „მაესტროს“, „ბათუმელებს“, „პალიკონს“... – ნუთუ მართლა ვერ ხვდებიან, რა საოცრად მარაზმულია ასეთი ორმაგი სტანდარტი, რომელიც უფლებას გაძლევს დაუსრულებლად აკრიტიკო ის, ვინც ადამიანად გთვლის, მაშინ როცა 10 წელი ელაქუცებოდა და შესციცინებდი მას, ვინც ძალდატანდა და გაგდებდა? რა თქმა უნდა, ეს ყველას არ ენება, თუმცა ის, რომ ზოგადად მედიის და ცალკეული ჟურნალისტების დამოუკიდებლობის ხარისხიც და პირშიმთქმელობაც შესაძრწევად გაიზარდა 2012 წლის 1 ოქტომბრის შემდეგ, ეს ეჭვს არ იწვევს.

მოკლედ, ეს სახელიც სწორედ ამიტომ ავირჩიე ამ სტატიისთვის.

„მედიაკონა“ იმ ჭიაკოკონობას ვუნოდე, რაც დღეს პრემიერის და ჟურნალისტების ერთობლივი მეცადინეობით ვიხილეთ.

პრემიერს დაავიწყდა, რომ ის ჩვეულებრივი მოქალაქე კი არაა, პრემიერია. და მიუხედავად იმისა, რომ გულწრფელობაც და საკუთარი ღირსების განცდაც აძლევს უფლებას, რომ მის მაკრიტიკებელ ჟურნალისტებს არგუმენტაცია მოთხოვოს და კორექტულობა თხოვოს, სწორედ მისი პრემიერობის სტატუსი უზღუდავს ამ შანსს, რადგან თმენის მეტი ვალდებულება აქვს და თან ძალიან ადვილია, რომ მავანმა ეს შინ

და გარეთ მის მიერ მედიაკონტროლად და ცენზურის მცდელობად წარმოაჩინოს. ეჭვი არ მეპარება, რომ თამარ ჩერგოლეიშვილის „ტაბულა“ უკვე გამაღლებელი მუშაობს ამ „გაცდენილი“ შეხვედრის ინგლისური ტიტრებით გამდიდრებაზე და მთელ მსოფლიოში „გამოფენაზე“. ამ მხრივ, პოტენციური ზიანი პრემიერისათვის თვალსაჩინოა.

ჟურნალისტებს დაავიწყდათ, რომ ისინიც არ არიან უნაკლო ანგელოზები. რომ მათაც აქვთ თმენის ვალდებულება, როცა აკრიტიკებენ. რომ თუ პრემიერის მხრიდან იყო ეს ცოტა უცნაური ფორმატი, თავად კრიტიკის საგანი სულაც არ იყო ხელწამოსაკრავი... და რომ ქართულ საზოგადოებას შეიძლება მათ მიმართაც ჰქონდეს კითხვები იმაზე, რამდენად მომზადებულნი არიან ისინი, რამდენად სწორედ და დაკვირვებით არჩევენ არგუმენტებს თუ კვალიფიციურ რესპოდენტებს, რამდენად სუფთაა მათი წარსული ან აწმყო, და როგორ სწორად ესმით მათ მედიის როლი და მოვალეობა (არა მარტო უფლებები).

მედიაკონას კიდევ უფრო გაღვივების შედეგი შეიძლება ორგვარი იყოს:

ა) თუ მედია კიდევ უფრო მეტი დაჟინებით გააგრძელებს ივანიშვილის მთავრობის კრიტიკას, იმ ფონზე, როცა კოპაბიტაციის და უსასრულოდ გადადებული სა-

მართლის ასრულების პირობებში ნაციონალების კრიტიკა უკვე მიზანულად და აღარც იმდენად აინტერესებს საზოგადოებას, ხოლო ნინო ბურჯანაძე სარგებლობს იმით, რომ იგი ლამის ერთადერთი არასახელისუფლებო პოლიტიკური ძალაა, რომელსაც მხოლოდ კითხვები აქვს დღევანდელი ხელისუფლების ყველა შტოს მიმართ, და პასუხს კი მხოლოდ 5 წლის წინანდელ და ადრინდელ წარსულზე თუ თხოვენ, ამას შეიძლება ის შედეგი მოჰყვეს, რომ მედია სულ უფრო მეტად მიუშვებს წყალს ბურჯანაძის წისქვილზე და მის შანსებს გაზრდის. ამის ბოლო კი ის შეიძლება იყოს, რომ

ბურჯანაძე თუ პრეზიდენტი გახდება, ივანიშვილი დაპირებისამებრ თავის ვალდებულებებს მოიხსნის, სულაც წავა საქართველოდან და ეკონომიკურად საკმაოდ მძიმე სიტუაციაში მყოფი საქართველო სა-მოქალაქე დაპირებისპირების ახალ ტალღაზე „გადატყნავს... ეკონომიკურ პრობლემებს. ჟურნალისტების სამწუხაროდ მინდა ვთქვა, რომ ამ შემთხვევაში დღევანდელი პირობები და თავისუფლების დონე შეიძლება მოენატროთ.

ბ) თუ მედია (მიუხედავად დღევანდელი მედგარი წინააღმდეგობისა), მართლაც ხმას ჩაიდებს, მორჩილ კეთილშობილ ქალთა პანსიონად იქცევა, ხელისუფლებების ქება-დიდებას გაიხდის ხელობად, მაშინ ეს მთავრობაც ისევე შეიძლება გატუტდეს, როგორც ნაცემოდები და ეს იგივე ექტატურამდე მიგვიყვანს, რომელსაც ქართველი ხალხი, გაჭირვებით მაგრამ მაინც ისევე (ან – უფრო უარესადაც მოიშორებს), როგორც ეს ნაცემოდარობის მიმართ უკვე გაუკეთებია.

გამოსავალი კი ისაა, რასაც დასავლურ დემოკრატიულ ქვეყნებში დიდი ხანია, მიხედნენ – მთავრობა მედიას არ უნდა ტუქსავდეს, მაგრამ მედია საკუთარი პროფესიონალიზმის, ეთიკურობის და სტანდარტების ამაღლებაზე თავად უნდა ზრუნავდეს, და თავად უნდა ცდილობდეს სარევევლებსაგან განთავისუფლებასაც. მთავრობას ისევე ძალიან სჭირდება კრიტიკული და ფხიზელი მედია, როგორც მედიას – დისტანცირებული და არადამპურებელი, სამართლიანი და პროფესიონალი მთავრობა. სწორედ ასეთი გრილ-გესლიანი, მაგრამ კორექტული თანამშრომლობაა იმის საწინდარი, რომ საზოგადოება ჯანსაღი იყოს და განვითარდეს.

არ არის ეს ადვილი! არც ერთი მხრიდან არ არის!

მაგრამ სხვა გზაც რომ არაა?!

სოლომონ თარნალი.

P. S. პიდიმ ერთი რამ უნდა დაგვაბოტო – იმდღევანდელი დებატების უშუალო, მოკლევადიანი შედეგი შეიძლება იყოს ის, რომ ივანიშვილზე კიდევ რამდენიმე კრიტიკული სტატია დაიწერება დასავლეთში, სამაგიეროდ, საქართველოში მისი რეიტინგი მოიმატებს.

ს. თ.

© პოზიცია: სუდონჰესს - არა!

გაკაშენით ტყე, უიჰისოდ ქვეყანა ვერ გადარჩება

უკანასკნელ 20-25 წლის განმავლობაში სრული ქაოსი და განუკითხაობა სუფევს სატყეო მეურნეობის სისტემაში და უშუალოდ ტყეში.

„ავად სახსნებელი“ საბჭოთა კავშირის პერიოდში ყოველწლიურად რუსეთიდან და უკრაინიდან საქართველოში 4-5 მილიონამდე კუბური მეტრი მერქანი და მისი ნამზადი შემოდოდა. ამჟამად კი ჩვენი მოთხოვნილება მერქანზე ადგილობრივი რესურსებით კმაყოფილდება და ამასთანავე ათეულ ათასობით კუბური მეტრი გადის უცხოეთში.

ჯერ კიდევ 2000 წელს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II გვაფრთხილებდა, „მინდა გულისტკივილით აღვნიშნო, რომ ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენები, რაც ნეტყის ჭრასა და მის საზღვარგარეთ გატანასთან არის დაკავშირებული, ბოროტებად იქცა ქართველი მოსახლეობის მიმართ. თუ ეს პროცესი არ აღიკვეთა, ჩვენ მოწმენი გავხდებით დიდი, უკიდურესი კატასტროფისა. ტყეების გაჩვენება უნდა შეჩერდეს!“

ისე ყველა სიკეთე აუხდეს მკითხველს, როგორც ჩვენს ქვეყანას აუხდა კათოლიკოს-პატრიარქის წინასწარმეტყველება. კატასტროფებმა მოიცვა სრულიად საქართველო. წყალდიდობები და მწვერებები ჩვენი ქვეყნისთვის ყოველდღიური და თითქოს აუცილებელი მოვლენა გახდა.

ტყის ძირითადი ფუნქცია არის ნიადაგდაცვა და წყალმარეგულირებლობა, რაც ჩვენსთანა მთავორიანი ქვეყ-



ნისათვის ერთი ათად იზრდება, როდესაც ტყეების 98 პროცენტი მთის ფერდობებზეა განფენილ-განლაგებული, რომ არაფერი ვთქვათ ტყის იმ სიკეთეზე, რომელსაც მისგან ვღებულობთ: ქართული ტყე, ქართული მუხა ისეთივე სათაყვანებელია ქართველი კაცისათვის, როგორც შვილივით ნაზარდი ვაზი და ვენახი, რომელიც ქართული ტყის გარეშე ვერ იარსებებს. დიდა ტყის გარემოს დაცვითი, კლიმატმარეგულირებელი, სანიტარიულ-ჰიგიენური, კურორტოლოგიური და რეკრეაციული მნიშვნელობა და მრავალი სიკეთე, რასაც ტყე გვაძლევს.

არ ვიცი მკითხველს მიუტყვიან თუ

არა ყურადღება იმისთვის, რომ წლებულს აღმოსავლეთ საქართველოში თითქმის აღარ შემოვიდა მერცხალი, თითქმის გაქრა ბელურა, გომბეშო და ბაყაყი, რომ ამის მიზეზი ტყეების გაჩვენა-განადგურება და, შესაბამისად, ჟანგბადის შემცირება, ჰაერის დაბინძურებაა.

სუდონჰესის მშენებლობის შემთხვევაში ტყე ათას ჰექტარზე გაიჩვენება, წყალი დაფარავს ასეულობით ჰექტარს. წყლის ქვეშ აღმოჩნდება მთის ოთხი სოფელი, XII საუკუნის ეკლესიასა და სხვა ძეგლებს. ეჭვი არ გვეპარება, რომ გეოლოგებმა კვლევა მაღალ დონეზე ჩაატარეს და რომ მშენებლები 9-

ბალიანი მიწისძვრის გამძლე კაშხალს აგებენ, მაგრამ ვინ იძლევა გარანტიას, რომ ათეულ ათასობით ტონა დაგუბებული წყალი არ გაააქტიურებს მენწყერებს კაშხლის შიგნით და კაშხლის გარეთ. არ ვიცი არსებობს თუ არა კაშხლის დაცვის გარანტია იმ შემთხვევაში, თუ მენყერი დაემუქრება, რადგან წყალი წალეკავს ნახევარ საქართველოს, და რაც მთავარია, რას უპირებენ ეკლესიასა და საფლავებს? დიდი მობოდიშებით მინდა შევეკითხო მათ, ვინც თხოულობს ჰესის მშენებლობას, თუ იქნებოდნენ თანახმა მათი ახლობლები, წინაპრები, შობლები, შვილები რომ იყვნენ დაკრძალულნი ამ სასაფლაოზე...

ასეთი დიდი საქმის შეჭიდებას სჯობს თანდათანობით გავწმინდოთ არსებული წყალსაცავები და აქცენტი მცირე ჰესებზე გადავიტანოთ. ამასთან მივხედოთ ჩვენს გაუბედურებულ ტყეებს. ავკრძალოთ ტყისა და მიწის უცხოელელებზე გაყიდვა და ვიზრუნოთ ტყეების დაცვა-აღდგენაზე. 1998 წლის შემდეგ არც ერთი ჰექტარი ხელოვნური ტყე არ გაშენებულა როცა მანამდე, ყოველწლიურად 6-8 ათას ჰექტარზე შენდებოდა ახალი ტყე ან ხდებოდა დეგრადირებულ ტყის შევსება-განახლება.

მართალია ტყის გაშენება ძვირადღირებული სიაბოვნებაა, მაგრამ მის გარეშე საქართველო ვერ გადავარჩენთ! სუდონჰესს - არა!

ტრისტან ჩირაქიშვილი, საქართველოს დამსახურებული მეტყვე

© დედაქალაქი

დიდუბის ერთ-ერთ მაღალსართულიან შენობაში ლიფტი მოწყდა და ჩავარდა. ამ დროს კაბინაში ახალგაზრდა კაცი იმყოფებოდა. საბედნიეროდ ეს მოხდა მესამე მუთხე სართულზე შორის, თანაც ლიფტი ზევითა მიმართულებით მოძრაობდა. ამის გამო დავირდნის სიძლიერე იმდენად დიდი არ იყო. ახალგაზრდამ დაუყოლია კაბინა მიიღო - გვიყვება ნანა ზანგური, ინციდენტის თვითმხილველი მეგობარი ქალის ინფორმაციაზე დაყრდნობით. შემდეგ კი თავის მოსაზრებებს გვიზიარებს - რომ ატყდა ერთი ამბავი, ქალაქის საკრებულომ ამხანაგობებისათვის განკუთვნილი 10 მლნ ლარი სხვადასხვა სფეროებში გადაანაწილა და სადარბაზოები მიუხედავად დარჩა. ვისაც ვიცნობ, ყველა სადარბაზოების მიმე მდგომარეობაზე საუბრობს. სისუფთავა? იმბრო, რომ მობინადრები თვითონ ქირაობენ დამლაგებლებს, ნათურას თვითონ ცვლიან. ლიფტი საკუთარ თავს ირჩენს, რადგანაც მგზავრობა ფასიანია - გვიხსნის ჩვენთან მოსაუბრე.

„ნეტავი უბუღავს ყოფილიყო იმ მომენტში, ლიფტი რომ მოწყდა და ჩავარდა“

მაცით, პროტესტანტებში სრული შემადგენლობით იყვნენ წარმოდგენილი ის თავმჯდომარეები, რომელთაც ადგილობრივი გამგეობები ტრენინგის ჩასატარებლად 7-



10-დღიანი გასვლითი სემინარების ჩატარებას უპირებდნენ ანტალიაში, ბათუმში, ურეკში, ჩაქვი და ა. შ. ყველაფერი (სასტუმრო, 3-ჯერადი კვება და ბეჭის სხვა) თბილისის მერიისა და გამგეობის ბიუჯეტიდან ფინანსდებოდა. ცხადია 10 მლნ-ის მოჭრამ ვერ დააყენა ეს ხალხი კარგ გუნებაზე. შეფერხება არც მერიასა და გამგეობებში მოეფინათ გულზე. ტრენინგები შირმა იყო. სინამდვილეში იგეგმებოდა „ნაცების“ ერთ-ერთი ამხანაგობების თავმჯდომარეების საფუძვლიანი ინსტრუქტაჟი, ურთიერთშორის კოორდინირება და ბევრი სხვა ნიუანსი.

დანყობილი გეგმები ჯერ საპრეზიდენტო, შემდეგ კი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინ საკრებულოში წარმომადგენლობის განხილვის და ამხანაგობების „ვარდოსნები“ მანაც სკანდირებდნენ ეზო-სკვერების, სადარბაზოების სახურავების დასაფარავად და სხვადასხვა პრობლემების მოგვარებას. რამდენიმე დღის წინათ კი დასკვნაც დადეს და კვლევის შედეგები სპეციალურ ბრიფინგზე გაახმოვანეს. რომლის მიხედვითაც ხშირია ლიფტების ავარიული გაჩერებები: ადა-

მიანის კაბინებში ყოფნის ველობის არჩევნების წინ საკრებულომ ნაცებს აშკარად ჩაუდგო: წინააღმდეგობა გამგეობებისა და ამხანაგობების „ვარდოსნები“ მანაც სკანდირებდნენ ეზო-სკვერების, სადარბაზოების სახურავების დასაფარავად და სხვადასხვა პრობლემების მოგვარებას. რამდენიმე დღის წინათ კი დასკვნაც დადეს და კვლევის შედეგები სპეციალურ ბრიფინგზე გაახმოვანეს. რომლის მიხედვითაც ხშირია ლიფტების ავარიული გაჩერებები: ადა-

მიანის კაბინებში ყოფნის ველობის არჩევნების წინ საკრებულომ ნაცებს აშკარად ჩაუდგო: წინააღმდეგობა გამგეობებისა და ამხანაგობების „ვარდოსნები“ მანაც სკანდირებდნენ ეზო-სკვერების, სადარბაზოების სახურავების დასაფარავად და სხვადასხვა პრობლემების მოგვარებას. რამდენიმე დღის წინათ კი დასკვნაც დადეს და კვლევის შედეგები სპეციალურ ბრიფინგზე გაახმოვანეს. რომლის მიხედვითაც ხშირია ლიფტების ავარიული გაჩერებები: ადა-

მიანის კაბინებში ყოფნის ველობის არჩევნების წინ საკრებულომ ნაცებს აშკარად ჩაუდგო: წინააღმდეგობა გამგეობებისა და ამხანაგობების „ვარდოსნები“ მანაც სკანდირებდნენ ეზო-სკვერების, სადარბაზოების სახურავების დასაფარავად და სხვადასხვა პრობლემების მოგვარებას. რამდენიმე დღის წინათ კი დასკვნაც დადეს და კვლევის შედეგები სპეციალურ ბრიფინგზე გაახმოვანეს. რომლის მიხედვითაც ხშირია ლიფტების ავარიული გაჩერებები: ადა-

მიანის კაბინებში ყოფნის ველობის არჩევნების წინ საკრებულომ ნაცებს აშკარად ჩაუდგო: წინააღმდეგობა გამგეობებისა და ამხანაგობების „ვარდოსნები“ მანაც სკანდირებდნენ ეზო-სკვერების, სადარბაზოების სახურავების დასაფარავად და სხვადასხვა პრობლემების მოგვარებას. რამდენიმე დღის წინათ კი დასკვნაც დადეს და კვლევის შედეგები სპეციალურ ბრიფინგზე გაახმოვანეს. რომლის მიხედვითაც ხშირია ლიფტების ავარიული გაჩერებები: ადა-

მიანის კაბინებში ყოფნის ველობის არჩევნების წინ საკრებულომ ნაცებს აშკარად ჩაუდგო: წინააღმდეგობა გამგეობებისა და ამხანაგობების „ვარდოსნები“ მანაც სკანდირებდნენ ეზო-სკვერების, სადარბაზოების სახურავების დასაფარავად და სხვადასხვა პრობლემების მოგვარებას. რამდენიმე დღის წინათ კი დასკვნაც დადეს და კვლევის შედეგები სპეციალურ ბრიფინგზე გაახმოვანეს. რომლის მიხედვითაც ხშირია ლიფტების ავარიული გაჩერებები: ადა-

ზაზა ბილიშვილი

© ბიუჯეტი

თბილისის ტრანსპორტი მხირდება, მაგრამ თბილისის შემოსავლები იზრდება

ამის შესახებ ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა სასტუმრო „რედისონ ბლუ ივერიაში“ ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა.

ხადურის თქმით, საქართველოს ფინანსთა მინისტრომ თბილისის მომავალი წლის ბიუჯეტთან დაკავშირებით ვრცელ განცხადებას გააკეთა.

— მომავალ წელს, თბილისის ბიუჯეტს ექნება 200 მილიონი ლარით მეტი თანხა ვიდრე წელს, — განაცხადა ნოდარ ხადურმა.

რაც შეეხება ოლიმპიური სოფლის მშენებლობის დაფინანსებას, ხადურის თქმით, სამინისტრო ამაზე მუშაობს.

რაც შეეხება 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს, სადაც შემოსავლები 2013 წლის გეგმასთან შედარებით 42 მილიონ 700 ათასი ლარით ნაკლებია, ხადურმა ეს ნაკისრი ვალდებულებებით ასწავა.

— 200 მილიონი ლარი უნდა დავაბრუნოთ საშემოსავლო გადასახადიდან, ეს არის ის ვალდებულება, რომელიც ჩვენ ავიღეთ და ამას შევასრულებთ. შესაბამისად, რომ არ ყოფილიყო ეს თანხა, ბიუჯეტი 200 ლარით მეტი იქნებოდა, თბილისის ტრანსპორტი მხირდება, მაგრამ თბილისის შემოსავლები იზრდება, — განაცხადა ნოდარ ხადურმა.

მისივე ინფორმაციით, თბილისის ბიუჯეტი სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ტრანსფერს არ ხარჯავს.

— დღესაც ანგარიშზე 195 მილიონი ლარი აქვს თბილისის ბიუჯეტს ცენტრალური ბიუჯეტიდან მიცემული ტრანსფერი. როგორც ჩანს, არ სჭირდება თბილისს ეს ფული. რომელ რაიონებსაც სჭირდება, განსაკუთრებით მაღალმთიან რაიონებს, ისინი მიიღებენ გაზრდილ ტრანსფერს, — განაცხადა ნოდარ ხადურმა.

მისივე თქმით, მიმდინარე წლის ბოლოს და მომავალი წლის დასაწყისში სამინისტრო ინვესტიციების მოცულობის რადიკალურ ზრდას ელოდება, რაც მინისტრის შეფასებით, ეკონომიკას კიდევ უფრო მეტად გაზრდის.

ინტერპრესი

100 წელი შესრულდა გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, საქართველოს სახელმწიფო და აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას სახელობის პრემიების ლაურეატის აკაკი სურგულაძის დაბადებიდან.

აკაკი სურგულაძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღზრდილია. იგი 1934 წელს შევიდა და 1939 წელს წარჩინებით დაამთავრა ამ უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი. აქვე ჩაირიცხა ასპირანტურაში და, ვიდრე 1941 წელს მეორე მსოფლიო ომის ფრონტზე გაიწვევდნენ, პროფესორ მიხეილ პოლიევქტოვის ხელმძღვანელობით იღრმავებდა ცოდნას საისტორიო მეცნიერებაში. დემობილიზაციის შემდეგ ისევ უნივერსიტეტს დაუბრუნდა. ნიჭიერი და პერსპექტიული ახალგაზრდა სსრკ ხალხთა ისტორიის კათედრის წევრად მიიღეს. 1949 წელს დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1958 წელს სადოქტორო დისერტაცია. უნივერსიტეტშივე მიენიჭა პროფესორის წოდება და აირჩიეს სსრკ ხალხთა ისტორიის კათედრის გამგედ. 1953-1956 და 1972-1976 წლებში იყო ისტორიის ფაკულტეტის დეკანი და სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე. 1974 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად აირჩიეს.

თავისი სამეცნიერო მოღვაწეობა აკაკი სურგულაძემ ახალი და თანამედროვე ისტორიის კვლევას დაუკავშირა. მისი ინტერესების სფეროში მოექცა საქართველოს, სამხრეთ კავკასიისა და რუსეთის ისტორიის კარდინალური პრობლემები, რომლებიც ქრონოლოგიურად XIX საუკუნიდან მოყოლებული XX საუკუნის პირველი ოცწლეულის პერიოდს მოიცავდა. აკაკი სურგულაძე ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც წარმატებით განაგრძო აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის დაწყებული საქმე და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის, საზოგადოებრივი აზროვნების, სოციალური და პოლიტიკური განვითარების, რევოლუციური მოძრაობისა თუ ქართული კულტურის ისტორიის შესწავლაში.

პროფესორ აკაკი სურგულაძის ნაშრომთა ბიბლიოგრაფია 231 პუბლიკაციას მოითვლის, რომელთა შორის ორ ათეულზე მეტი მონოგრაფიული გამოკვლევაა. მეცნიერის პირველი ვრცელი ნიგნები „ნარკვევები რევოლუციური მოძრაობის ისტორიიდან საქართველოში 1917-1921 წ.წ.“, „ბრძოლა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის ამიერკავკასიაში (1917-1918 წ.წ.)“ (რუსულ ენაზე) და „სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება ამიერკავკასიაში (1918-1921 წ.წ.)“ იმ დროისათვის აქტუალურ პრობლემებს ეძღვნებოდა და არაერთ სიახლეს შეიცავდა.

სპეციალისტთა ყურადღება მიიპყრო 1968 წელს გამოცემულმა მისმა მონოგრაფიამ „ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპოქა“. ნიგნში დაძლეულია 1832 წლის შეთქმულების მანამდე გაბატონებული ცალმხრივი გაშუქების ტენდენცია, შეთქმულება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მნიშვნელოვან გამოვლენად, ხოლო ნიკოლოზ ბარათაშვილი შეთქმულთა იდეოლოგიის მემკვიდრეადაა წარმოდგენილი.

მალაი შეფასება მიიპოვა აკაკი სურგულაძის სოლიდურმა გამოკვლევამ „ქართული საზოგადოებრივი აზრი XIX საუკუნის მეორე ნახევარში“ (თბ., 1974), რომელიც აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას სახელობის პრემიით აღინიშნა. საგულისხმოა მეცნიერის გამოკვლევები, რომლებშიც შესწავლილი და გაშუქებულია ილია ჭავჭავაძის, ივანე ჯავახიშვილისა და ექვთიმე თაყაიშვილის ცხოვრება-მოღვაწეობის სხვადასხვა ასპექტი.

აკაკი სურგულაძემ დიდი ღვაწლი დასდო ეროვნული ინტელიგენციის ფენომენის კვლევას, რისი დასტურიცაა ნიგნები: „ნარკვევები ქართველი ინტელიგენციის ისტორიიდან“ (თბ., 1980) და „ქართული დემოკრატიული ინტელიგენცია რუსეთის სამრევლო ეპოქაში“ (თბ., 1986). ამ მონოგრაფიებში ქართველი ინტელიგენცია განხილულია, როგორც ეროვნული კულტურის მთავარი შემოქმედი და გაშუქებულია მისი საზოგადოებრივი მოღვაწეობა.

აკაკი სურგულაძის ნიგნებს ავტორის უზადო ქართული და დახვეწილი სტილი, მოვლენათა მასშტაბური გააზრება, მასალის სიღრმეში წვდომა, საფუძვლიანი ანალიზი, განხილვა და განზოგადება გამოარჩევს. ამასთან, მეცნიერი უხვად იყო დაჯილდოებული ორატორული მონაცემებითაც, რაც მისი ლექციების და საჯარო გამოსვლების მიმზიდველობას განაპირობებდა.

სტუდენტ-ისტორიკოსთა თაობები აღიზარდნენ პროფესორ აკაკი სურგულაძის ისეთ სახელმძღვანელოებზე, როგორებიცაა: „რუსეთი XIX საუკუნის 60-80-იან წლებში“, „რუსეთის იმპერია XIX საუკუნეში“ და „რუსეთი იმპერიალიზმის ეპოქაში. 1895-1917 წწ.“. ეს სამი ნიგნი, რომლებიც თბილისის სა-

მეცნიერი, პედაგოგი, მოღვაწე



აკაკი სურგულაძის დაბადებიდან 100 წლისთავისათვის

ხელმწიფო უნივერსიტეტის პრემიითაც აღინიშნა, ძირეულ წარმოდგენას გვიქმნის 1800-1917 წლების პერიოდის რუსეთის სახელმწიფოს როგორც დამპყრობლური ბუნების, ასევე, პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ვითარების შესახებ.

აკაკი სურგულაძემ მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო ქართული კულტურის ისტორიის შესწავლას და ამ კუთხით სამომავლო კვლევა-ძიების გაშლას. მისი ძალისხმევით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაფუძნდა ქართული კულტურის ისტორიის სამეცნიერო ლაბორატორია, რომლის ბაზაზე შემდგომში სათანადო კათედრაც ჩამოყალიბდა. მეცნიერმა შექმნა ქართული კულტურის ისტორიის ნარკვევების სამი ტომი (მესამე ტომი ჯერაც გამოუცემელია), რომლებშიც ქართული კულტურის განვითარება განხილული და გაშუქებულია უძველესი დროიდან მეოცე საუკუნის 90-იან წლებამდე.

პროფესორ აკაკი სურგულაძის წვლილი ქართული კულტურის ისტორიის შესწავლაში აღიარებულია დასავლეთის სამეცნიერო წრეებშიც. ქართველი ისტორიკოსი „იუნესკომ“ ჩართო მასშტაბურ პროექტში, რომლის ფარგლებშიც ინგლისურ ენაზე გამოიცა „კაცობრიობის ცივილიზაციის ისტორიის“ მრავალტომეული. ამ გამოცემის მეხუთე ტომში შესულია აკაკი სურგულაძის ნარკვევი „საქართველოს კულტურა XVI-XVIII საუკუნეებში“.

საგანგებოდ აღსანიშნავია, რომ 1986 წელს აკაკი სურგულაძემ თავისი მასწავლებლებისა და მეგობრების ხსოვნას მიუძღვნა ნიგნი „არ დავიწყებ მოგვრისა“. დიდი გულსხმიერებით დაწერილი ამ ნაშრომში ივანე ჯავახიშვილის, ექვთიმე თაყაიშვილის, ნიკო ბერძენიშვილის, სიმონ ჯანაშიას, მიხეილ პოლიევქტოვის, შალვა ამირანაშვილის, შოთა მესხიას, დავით გერიტიშვილის, გივი კილურაძის, ირაკლი ანთელავას და სხვა ცნობილ ქართველ ისტორიკოსთა შემოქმედებითი პორტრეტებია დახატული.

აკაკი სურგულაძის პიროვნებას სამაგალითოდ წარმოაჩენს მისი ღირსეული მოქალაქეობრივი პოზიცია საქართველოსათვის კრიზისულ სიტუაციებში, იქნებოდა ეს 1956 წლის მარტის თუ 1978 წლის აპრილის დღეები. 9 მარტს ხალხმრავალი მანიფესტაციის სისხლში ჩახშობის შემდეგ უშიშროების ორგანოებმა ათეულობით სტუდენტი დააპატიმრეს და უმალესი სასწავლებლების მესვეურთაგან მათი დახასიათებები მოითხოვეს. უარყოფითი დახასიათების შემთხვევაში ციხის იზოლატორში გამომწყვედურ ახალგაზრდებს როგორც ბრალი, ისე სასჯელი გაუშვებდნენ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის დეკანის რანგში ბატონი აკაკი სურგულაძე, რომ იტყვიან, პირდაპირ გადაეფარა თავის სტუდენტებს და არც ერთი მათგანისათვის რეჟიმის თვალში დანაშაულის დამამძიმებელი დახასიათება არ მიუტია. ამისათვის თვითონ კი შევიწ-

როება განიცადა, მაგრამ სხვები რეპრესიებს გადაარჩინა და ისტორიის წინაშე პირნათელი დარჩა. ლევან სანიკიძის სიტყვით თუ ვიტყვი, „აკაკი სურგულაძემ შეურცხვენილი სიცოცხლით იცხოვრა სირცხვილის ცდუნებით აღსავსე ჩვენს თანადროულ წუთისოველში“.

კომუნისტური რეჟიმის ბოლო წლებში, როდესაც საქართველოს ხელისუფლებასა და ეროვნული მოძრაობის რადიკალურ ნაწილს შორის კონფრონტაცია საეჭვოდ გაღრმავდა, აკაკი სურგულაძემ ამ მოვლენაში სამოქალაქო ომის საფრთხე დაინახა, მაღალი ტრიბუნლიდან გაბეჭდულად ამხილა იგი და მხარეებს კეთილგონიერებისაკენ მოუწოდა. მეცნიერის წინასწარჭვრეტა გამართლდა.

პროფესორი აკაკი სურგულაძე ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც საქართველოს ახლო წარსულისადმი კომუნისტური მიდგომა გადააფასა და პაატა სურგულაძის თანაავტორობით 1991 წელს გამოსცა ნაშრომი „საქართველოს ისტორია. საკითხავი ნიგნი. 1783-1990“. ნიგნი, რომელმაც საზოგადოებაში დიდი პოპულარობა მოიპოვა, კარგა ხანს ჩვენს საშუალო სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში დამხმარე სახელმძღვანელოს როლსაც ასრულებდა.

ბატონ აკაკის – საქართველოს ახალი ისტორიის მკვლევარს, ბუნებრივია, აინტერესებდა ქართული პოლიტიკური ემიგრაციის თემა, თუმცა, უცხოეთში გახიზნულ თანამემამულეებთან უშუალო კავშირის შესაძლებლობა მეცნიერს მხოლოდ 1989 წელს მიეცა, როდესაც პროფესორ ილია ტაბალუასთან და დოცენტ პაატა სურგულაძესთან ერთად ხანგრძლივი სამეცნიერო მივლინებით საფრანგეთს ეწვია. ამ დროს ემიგრაციის პირველი ტალღიდან ცოცხალი აღარავინ იყო. მეცნიერი მათი მომდევნო თაობის წარმომადგენლებს ვიქტორ ხომერიკს, ლევან ფალავას, გიორგი წერეთელს, მამია ბერიშვილს, გიორგი ნოზაძეს, პავლე ვაშაძეს და სხვ. შეხვდა. ბატონ აკაკის მიერ ჯანრი კამპასათვის პარიზში მიცემული ინტერვიუ რადიო „თავისუფლებამ“ გადასცა, ხოლო ლევილიში, 1924 წლის აჯანყების მსხვერპლთა მოსაგონრად წარმოთქმულ მის სიტყვას ფურცლები ემიგრანტულმა ჟურნალმა „გუშაგამა“ დაუთმო. ცნობილია ასევე, რომ საფრანგეთიდან სამშობლოში დაბრუნებულმა მკვლევარმა თავისი პარიზული შთაბეჭდილება გაზეთ „კომუნისტში“ გამოაქვეყნა სახელწოდებით: „იქ, პატარა საქართველოში“.

ფართო სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად აკაკი სურგულაძე ნაყოფიერ საზოგადოებრივ საქმიანობასაც ეწეოდა. იყო „ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოების“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და ამ ორგანიზაციის თბილისის განყოფილების თავმჯდომარე, საზოგადოება „ცოდნის“ ისტორიულ-მეთოდური საბჭოს თავმჯდომარე და სხვ. შედიოდა არაერთი დროებითი სახელმწიფო კომისიის შემადგენლობაში, რომელთაგანაც აღსანიშნავია ილია ჭავჭავაძის მკვლელობის დამდგენი და 1920 წლის 7 მაისს საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის დადებული ხელშეკრულების დარღვევის პოლიტიკური და სამართლებრივი შეფასების შემსწავლელი კომისიების წევრობა.

ამ უკანასკნელში ბატონი აკაკი თავმჯდომარის მოადგილე გახლდათ. მისი უშუალო მონაწილეობით მომზადებული დოკუმენტის საფუძველზე საქართველოს სსრ უზენაესმა საბჭომ მიიღო დადგენილება, რომელშიც აღინიშნა: „1921 წელს თებერვალში საქართველოში საბჭოთა რუსეთის ჯარების შემოყვანა და მთელი ტერიტორიის დაკავება, სამართლებრივი თვალსაზრისით, წარმოადგენდა სამხედრო ჩარევას (ინტერვენციას) და ოკუპაციას არსებული პოლიტიკური წყობის დამხობის მიზნით, ხოლო პოლიტიკური თვალსაზრისით – ფაქტობრივ ანექსიას“.

აკაკი სურგულაძე მონდომებით ზრუნავდა ისტორიკოსთა მომავალი თაობების აღზრდაზე. მისი ხელმძღვანელობით მომზადდა ათზე მეტი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია. მეცნიერთან სტაჟირებას გადიოდნენ ისეთი უცხოელი ისტორიკოსები, როგორებიც არიან რონალდ სუნი, სტივენ ჯონსი და სხვ.

ბატონი აკაკის ქართული საისტორიო სკოლა არაერთგზის ღირსეულად წარუდგენია საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებსა თუ სიმპოზიუმებზე.

პროფესორ აკაკი სურგულაძეს მთელი ცხოვრება და მოღვაწეობა საბჭოთა სინამდვილის რთულ პირობებში მოუწია. მიუხედავად ამისა, იმაზე მეტის თქმა და გაკეთება, რაც მან კომუნისტური რეჟიმის პირობებში მოახერხა, ალბათ, შეუძლებელიც იყო. ბატონი აკაკი ამ ქვეყნიდან სრულიად ვალმოხდილი წავიდა, დარწმუნებით შეიძლება ითქვას: რომ დასტავიდა, კიდევ არაერთი საჭირო და სასარგებლო საქმით, სიტყვით თუ აზრით წაადგებოდა თავის სამშობლოს.

სამართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ლაზიკა თუ ანაკლია?

ანაკლია – კულკანური ინფრასტრუქტურული პროექტი

„ლაზიკა ანაკლიის პორტთან ძალიან აგებს, რადგან ანაკლიას გაცილებით დიდი პოტენციალი აქვს“, – აცხადებს ბიძინა ივანიშვილი.

პრემიერის თქმით, საქართველო სატრანზიტო ქვეყანაა და ეს ფუნქცია ჩვენ იდეალურად უნდა შევასრულოთ. ამისათვის ანაკლიის პორტი უნდა აშენდეს, რომელსაც წელიწადში 110 მილიონ ტონამდე გამტარიანობა ექნება. ამდენად, ანაკლიის პორტი შეიძლება ყველაზე დიდი პროექტი გახდეს საქართველოში, რომელიც თანაინვესტირების ფონდისთვის პირველი პროექტი იქნება.

ჩვენ სამი პროექტის ვარიანტი გვქონდა, ეს კი საუკეთესოა, რომელიც 12 თვის განმავლობაში 24 საათი იმუშავებს. პორტის მშენებლობა გაცილებით გაიოლდება. წინა ხელისუფლება პორტზე სულ საუბრობდა, მაგრამ მისი აშენების არც პროექტი და არც დაფინანსების ვარიანტი არ არსებობდა. თქვენ იცით, სააკაშვილის აკვიტებული იდეა ლაზიკის პროექტთან დაკავშირებით. ჩვენმა ეკონომიკურმა ჯგუფმა სამი ვარიანტი განიხილა და აღმოჩნდა, რომ ლაზიკა ძალიან აგებს ანაკლიის პორტთან, რომელიც სიმძლავრით რამდენჯერმე უფრო დიდია. ამასთან, ქაობის ამოშრობამ, შესაძლოა, ძალიან დიდი ბუნებრივი კატაკლიზმები გამოიწვიოს. ამიტომ, ასეთი პორტის მშენებლობის დაწყებისთვის სერიოზული მზადება და დოკუმენტაციის დამუშავება სჭირდება. ეს შეიძლება ყველაზე რეალისტური პროექტი გახდეს საქართველოში“, – აღნიშნა პრემიერმა.

ანაკლიის პორტის პროექტის შესახებ ჯერ კიდევ 2010 წლიდან გახმაურდა. იმ დროისთვის პორტში ინვესტიციის ჩადებას უცხოეთში მცხოვრები ქართველი გეგმავდა. მოგვიანებით პროექტი შეჩერდა. არადა, პორტის სრულად განხორციელებისთვის მინიმუმ ორმილიარდიანი დაფინანსება იყო სა-

ჭირო. პროექტის ავტორი სპარტაკ ვერაგია ამ თემაზე მხოლოდ მოკლე კომენტარებით შემოიფარგლებოდა, მაგრამ აცხადებდა, რომ ხელისუფლების ნების შემთხვევაში, პროექტის განხორციელება და ინვესტიციის მოზიდვა რეალური იქნებოდა.

ანაკლიის უბრატესობის შესახებ ბიძინა ივანიშვილის განცხადებას მოგვიანებით პრეზიდენტიც გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ ლაზიკა და ანაკლია ერთი და იგივე გეოგრაფიული დასახლებაა. მისივე პოზიციით გაიზარა პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა ანდრო ბარნოვმაც.

„სიცრუეში ცხოვრებაც ასეთი უნდა! ჰკითხეთ ერთი პრემიერს, რით განსხვავდება ანაკლიისა და ლაზიკის პორტი?“



სინამდვილეში, ეს ერთი და იგივეა და ლაზიკის პროექტს თავიდან ანაკლიის პორტი ერქვა. პრემიერის გენიალური ტყუილის შემდეგ, უკვე, რამდენიმე ათეულმა ადამიანმა დარეკა სამეგრელოდან მინდა ვუთხრა პრემიერს, რომ საქართველოს მოსახლეობამ გეოგრაფიულ მასზე უკეთ იცის და სინდისიც მეტი აქვთ და ასეთ უტიფარ ტყუილებს კი ისეთი მოკლე ფეხები აქვს, რომ კარგამდე ვერ მიასწრებთ, ჩემო კარგო“, – აცხადებს ანდრო ბარნოვი.

ანაკლიის პრიორიტეტის შესახებ For.ge ექსპერტებს ესაუბრა.

მძსპრტი ეკონომიკის საკითხებში დემურ გიორსელიძე განმარტავს, რომ ანაკლია და ლაზიკა არ არის ერთი და იგივე პროექტი. უფრო მეტიც, ანაკლია სუპერ-პროექტია, რომელსაც უდიდესი დატვირთვა აქვს და ქართული საინჟინრო აზრის ბრწყინვალე ნაშრომია, ხოლო შინაარსობრივად მიუღებელი და საზიანო პროექტი – ლაზიკა თავისი მასშტაბით უმნიშვნელოა ანაკლიის პროექტთან შედარებით. რუკას თუ დაგეგმვით და ამ პროექტებს შევადარებთ, აღმოჩნდება, რომ ლაზიკა ერთი პატარა წრეა. ლაზიკა აბსოლუტურად დეფორმირებული პროექტი იყო, სრულიად არასაჭირო საქართველოსთვის. ეს იყო ხელოვნური ქალაქი, რომელშიც გაუგებარია, ვის და რატომ უნდა ეცხოვრა. ანაკლიის პორტს კი თავისი მოსახლურ პერსონალიც ეყოლება, იქ მოსახლეობაც იქნება და ეს დაკავშირებული არ იქნება ისეთი ხელოვნური ქალაქის გაშენებასთან, როგორც ლაზიკა იყო“, – აღნიშნა დემურ გიორსელიძემ.

№ 9 83

რეიტინგი

მთავრობის ეკონომიკური გუნდის სპეციალისტების მიერ შემუშავებულ სტრატეგიულ დოკუმენტში „საქართველო 2020“, რომლის საფუძვლად განსწავლავს ამჟამად მიმდინარეობს, სამომავლო ეკონომიკური განვითარების გზაზე ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დაბრკოლებად ეროვნული პროდუქციის სხვადასხვა სახეობის შიდა თუ მსოფლიო ბაზარზე დაბალი კონკურენტუნარიანობა დასახელებულია. სწორედ ამ უმნიშვნელოვანესი საკითხის მიმდევარა მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის (მეფ) სპეციალისტთა მიერ ჩატარებული კვლევა „გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიში 2013-2014“, რომელშიც, ცხადია, შესაბამისი ადგილი საქართველოსაც აქვს დათმობილი.

აღნიშნულ ანგარიშში მსოფლიოს 148 ქვეყნის მონაცემებია მოყვანილი, რომელთა მიხედვით საქართველოს სიის მეორე ნახევარში, 77-ე ადგილი აქვს მიჩნეული. უნდა ითქვას, რომ გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი არაერთი პარამეტრისა და ინდიკატორის ერთობლიობაა, რომლებიც, თავის მხრივ, სპეციალისტებს სხვადასხვა რეიტინგის შედგენის შესაძლებლობას აძლევს.

„გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიში 2013-2014“-ის შემდგენელთა კვლევების შესაბამისად, მთელი რიგი პოზიციის მიხედვით საქართველოს მეტად არასახარბიელო, საერთო 77-ე ადგილიდან საკმაოდ დაცილებული პოზიციები უკავია, მათ შორის მეტად წარუმატებელია კვლევის და სარეიტინგო სამსახურების ხელმისაწვდომობა – 130-ე ადგილი. ცუდი მდგომარეობაა ისეთი მნიშვნელოვანი პოზიციების მხრივაც, როგორცაა, კერძოდ, კორპორაციებში დირექტორთა საბჭოების ეფექტიანობა (109-ე ადგილი), საზღვარზე მონოპოლიების გავლენა (119-ე ადგილი), უმცირესობაში მყოფი აქციონერების ინტერესების დაცვა (125-ე ადგილი), ინტელექტუალური საკუთრების დაცვა (124-ე ადგილი), ადგილობრივი კონკურენტების ინტენსივობა (123-ე ადგილი), კერძო საკუთრების უფლების დაცვა (120-ე ადგილი), თუმცა კი, გაცილებით უარესი, უფრო სწორად კატასტროფული მდგომარეობა არა მარტო ქვეყანაში, არამედ მსოფლიოს მასშტაბითაც ანტიმონოპოლიური პოლიტიკის ეფექტიანობა (138-ე ადგილი). სამწუხაროდ, კონკურენტუნარიანობის სფეროში ბოლო წლების მანძილზე სახელმწიფო პოლიტიკამ მარტო ამ პოზიციით არ განიცადა სრული ფიასკო, არის კიდევ არაერთი უმნიშვნელოვანესი ასპექტი, რომელთა შესახებ ქვემოთ გვექნება ლაპარაკი. როგორც ითქვა, ყველაზე საგანგაშო მდგომარეობა კონკურენტუნარიანობის სფეროში ანტიმონოპოლიური ღონისძიების, უფრო სწორად კი მათი ფაქტობრივი არარსებო-

ბის მხრივია. ამას ბაზარზე დომინანტი მოთამაშეების, მონოპოლისტების „მეფობა“ განსაზღვრავს, რა მაჩვენებლითაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 119-ე ადგილზე ვიმყოფებით. ქვეყანაში ქმედითი ანტიმონოპოლიური სტრუქტურის არსებობის აუცილებლობაზე ადრეც არაერთხელ გვითქვამს, თუმცა კი, მანამდე აუცილებლად საჭირო სათანადო კანონმდებლობაში შესაბამისი ცვლილებების შეტანა, უფრო სწორად კი მისი არსებითად ხელახლა ჩამოყალიბება. ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა ისეთ ქვეყნებშიც კი თავისუფალი კონკურენტების ხელშეწყობა სე-

სნაკლის ხილზე გაბაჟული აკონომიკური განვითარების გზა

რიოზულ ინსტრუმენტს წარმოადგენს, სადაც ესა თუ ის კომპანიები თავიანთ მოქმედებებში მინიმალურად არიან შეზღუდულნი, რადგან იქაური მთავრობები უაღრესად ლიბერტარულ, ანუ თავისუფალ ეკონომიკურ პოლიტიკას ატარებენ. კლასიკურ მაგალითად მიხედვით სააკაშვილის სათავეში სინგაპურის დასახლება შეიძლება, რომელიც იმავე ანგარიშის თანახმად მსოფლიოში ერთ-ერთი მონიშნავა და ამ პოზიციასზე რეიტინგის მე-4 ადგილი უკავია.

თუ რა უფლებები აქვს საქართველოში მომხმარებელს და კანონმდებლობის როგორი იგნორირებით მიეწოდება მას საქონელი თუ მომსახურება, ყველამ კარგად ვიცით. მომხმარებელთა უფლებების დაცვის სახელმწიფო სამსახურიც უმეოა სათანადო ქმედითი ბერკეტების (თუნდაც დამნაშავე სუბიექტის საჯაროდ დასახელების უფლებობის) უქონლობის გამო, ასევე რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციაც, თუმცა კი ეს უკანასკნელნი, შედარებით, რაღაცის გაკეთებას მაინც ცდილობენ. ამიტომ, უახლოეს მომავალში საქართველოში აუცილებლად უნდა შეიქმნას სარისხის ეროვნული სტანდარტების სისტემა და მის მოთხოვნებზე მკაცრი კონტროლის გამტარი სტრუქტურა, რომელსაც სამხრის გველა სათანადო მექანიზმი ექნება. ერთი კია: როგორც გნებავთ კარგი ანტიმონოპოლიური კანონმდებლობაც უნდა მივიღოთ და მის შესრულებაზე მაკონტროლებელი ეფექტიანი სტრუქტურა შევქმნათ, ეკონომიკური განვითარების პანაცეა ეს ვერ იქნება და, თავისი მოღვაწეობის ანალიტიკური, სარეკომენდაციო სპეციფიკის გათვალისწინებით, რომლის მიზანი მეწარმეებისთვის მუშაობის მეტი ეფექტიანობის მიღწევაა, ასეთად არც უნდა განიხილებოდეს. ამასთან ბევრ სხვასთან ერთად ამ

უკანასკნელს შორის თანაბარუფლებიანი ხელშეკრულება უნდა დაიდოს და თავისი ვალდებულებები ორივე მხარემ პირნათლად უნდა შეასრულოს და არა ისე, როგორც ეს დღესდღეობითაა, როცა ყველაფრის ბატონ-პატრონი ელექტროენერჯის, გაზისა თუ წყლის სადისტრიბუციო კომპანიები არიან. ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში კი პასუხისმგებლობა, ცხადია, დამნაშავე მხარემ უნდა აგოს.

ბოლო ათ წელზე მეტი მანძილზე კომპანიების, სანარმოების, ბანკების და სხვ. სამთავალყურო საბჭოების დადგენილებებს თუ გადანაწილებებს სარეკომენდაციო გარდა არანაირი სხვა, რაიმე რეალური ძალა არ ჰქონია, სამაგიეროდ მის წევრებს იქ მომუშავე მაღალკვალიფიციურ პერსონალზეც კი გაცილებით მაღალი ყოველთვიური გასამრჯელო ეძლეოდა. ამიტომაც როგორც კერძო, ასევე სამთავრობო სტრუქტურებში ამ საბჭოებში ნათესავ-მეგობრები, ხელისუფლების ერთგული მსახურები იყვნენ მოკალათებულნი, რომლებსაც საქმისა არავინ არაფერს ეკითხებოდა. ამ თვალთახედვით, ჩვენი აზრით, „გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიში“ საქართველოს 109-ე ადგილი და უმსახურებლად მაღალი კიდევ. ისე, კაცმა რომ თქვას, მდგომარეობა კარდინალურად არც ბოლო წლის მანძილზე შეცვლილა მაინცდამაინც, რადგან უმრავლეს სახელმწიფო თუ კერძო სტრუქტურაში, უმეტესწილად, კვლავაც ძველ ნაცნობ სახეებს ვხვდებით. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ გარკვეული ძვრები ამ მიმართულებით მაინც არის.

სამთავალყურო საბჭოებს რეალური ფუნქციის შესრულების უნარი რომ ჰქონდეთ, საამისოდ, ექსპერტთა აზრით, მათ უნდა მოცილდეს მსხვილი აქციონერები, „ცნობადი სახეები“ და სხვა მსგავსი პირები, რო-

მელთა შრომის გასამრჯელო ხშირად იმდენად სოლიდურია, რომ ამა თუ იმ მსხვილი კომპანიის შემოსავალზეც კი აისახება. ამიტომ ეს საკითხი, უწინარესად, საკანონმდებლო დონეზე უნდა მოხდეს განხილვა, რაც, ამასთან ერთად, სამთავალყურო საბჭოების წინაშე დირექტორატის ანგარიშვალდებულების გაზრდაში უნდა გამოიხატოს, რომლის წევრები, თავის მხრივ, ასევე მკაცრად ანგარიშვალდებულნი აქციონერთა საერთო კრების წინაშე იქნებიან.

ქვეყანა ეკონომიკურად რომ განვითარდეს, საამისოდ, ცხადია, სათანადო კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფილი ყველა მნიშვნელოვანი დარგი უნდა იყოს, ამდენად განათლების საკითხი, ისევე, როგორც, ფაქტობრივად, ყველა სხვა შემთხვევაში, აქაც ქვაკუთხედად გვევლინება. არადა მდგომარეობა არც ამ მხრივ გვაქვს სატრიახო: საგანმანათლებლო ინსტიტუტის ხარისხის მიხედვით საქართველო რეიტინგში 105-ე სამარცხვინო ადგილი აქვს მიჩნეული.

ამ სისტემაში წლების მანძილზე მიმდინარე რეფორმებისა და მათი მთავარი არქიტექტორი სანტექნიკოსებისა და ციხის ყარაულების თაობაზე ბევრის თქმა შეიძლება, მაგრამ ეს საქმეს არაფრით არ წაადგება. ამდენად, უმჯობესია ყურადღება იმაზე გადავიტანოთ, რაც სადღესოდაა გასაკეთებელი, რათა მომავალში მაინც მივიღოთ კარგი შედეგი. სპეციალისტების საერთო აზრით, აუცილებელია სასკოლო და უმაღლესი განათლების სტანდარტების გამკაცრება, თუმცა კი მანამდე იმდენი საქმეა გასაკეთებელი, რომ ამას ცალკე ერთი, ორი, გნებავთ ათი საგაზეთო პუბლიკაციაც არ ეყოფა. ერთი კი ამთავითვე შეიძლება ითქვას, რომ სამთავალყურო საბჭოების დაწესება, ამ სფეროში უფრო დაბალი (სასკოლო) და მაღალი (უმაღლესი სკოლების) საფეხურებზე ბოლო უნდა მოელოს პარტიული ლოიალობის, „გუნდურობის“, ახლობელ-ნათესაური ნიშნით შედგომების, მით უმეტეს საშუალო და მაღალი რანგის ხელმძღვანელთა შერჩევა. ბუნებრივია, ამ შემთხვევაში მხედველობაში მხოლოდ არაკომპეტენტურობას, არასაკმარის პროფესიონალიზმს ვგულისხმობთ. ისიც ფაქტია, რომ მასწავლებლის, ზოგადად პედაგოგის შრომის ანაზღაურება მისდამი წაყენებული მოთხოვნებისა და პასუხისმგებლობის დონის შესაბამისი, აშკარად არ არის.

თუმცა კი, იქნებ ვინმემ დაგვისახელოს ქვეყანაში რომელიმე პროფესია, მაღალი თუ საშუალო რანგის „მეკვიდრეობითი“ თუ ახალ-გამომცხვარი ჩინოსნების გარდა, რომელიც, პენსიონერებზე, უნარშეზღუდულებზე, ლტოლვილებზე და სხვებზე არაფერი რომ არ ვთქვათ, ღირსეულად ნაზღაურდება?

გამორიცხულია!
ოთარ ტურაბალიძე

მოსაზრება

– ბატონო ალექსანდრე, პარლამენტში ეკონომიკურ საკითხებზე დებატები გაიმართა. ხელისუფლებას 9 თვეში ეკონომიკის სფეროში თავისი საქმიანობის სრულად წარმოჩენის საშუალება მიეცა, თუმცა ოპოზიციის კი – თავისი პრეტენზიების საპარლამენტო ტრიბუნლიდან გამოთქმის. ხელისუფლების წარმომადგენლების მტკიცებით, „ეკონომიკური ზრდის ტენდენცია სტაბილურ სასიათს ატარებს“, ოპოზიციის კი საპირისპიროს ამტკიცებდა. ფაქტია, რომ ხელისუფლება ეკონომიკის 6%-იანი ზრდის პირობას იძლეოდა. ოპოზიციის მტკიცებით, დღეს ზრდა მხოლოდ 1,7%-ს შეადგენს და ამ მაჩვენებლის 2%-მდე გაზრდის პერსპექტივა არ არსებობს. ფინანსთა მინისტრის ნოდარ ხადურის განმარტებით, „ეკონომიკა „ნაციონალური“ შოკიდან გამოდის“. თქვენ როგორ შეაფასებდით პარლამენტში გამართულ დებატებს და თქვენი აზრით, დებატებზე რამდენად რეალურად აისახა ქვეყნის ეკონომიკაში არსებული ვითარება?

– საერთოდ, ეკონომიკა დამოუკიდებლად არ არსებობს. ეკონომიკა სარკეა, რომელშიც აისახება ქვეყნის სოციალური მდგომარეობა. ეკონომიკის განვითარებისთვის აუცილებელია რამდენიმე წინაპირობა, უპირველეს ყოვლისა, ეს სტაბილურობაა. კოჰაბიტაციის პირობებში ეკონომიკის ხანგრძლივ და მდგრად ზრდაზე საუბარი ზედმეტია, ვინაიდან ის პოლიტიკური სტაბილურობა, რომელიც ეკონომიკურ განვითარებას სჭირდება, არ არსებობს.

პარლამენტში გამართული დებატები სხვადასხვა წონით კატეგორიაში წარმართა. „ნაციონალიზმზე“ რაიმე უხეშად თქმა არ მინდა, მაგრამ ბატონი ნოდარ ხადური უმაღლესი დონის პროფესიონალია, ხოლო მიხეილ მაჭავარიანი ამ თვალსაზრისით – დილუტანტი. ამიტომ მათ შორის თუნდაც დაუსწრებელი დებატები ყოველთვის ხადურის გამართლებით დასრულდება. ნოდარ ხადური სწორს ამბობს, ეკონომიკაში „ნაციონალური“ შოკი ნელ-ნელა სრულდება და ვითარება სწორდება. არ ვეთანხმები მოსაზრებას, რომ წლის ბოლომდე მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა 2%-მდე არ ავა. პირადად მე მეჩვენება, რომ ეს მაჩვენებელი გაცილებით მეტი იქნება. შესაძლებელია იქნება ძალიან კარგი. რამდენიმე დღის წინ დაფუძნდა 6-მილიარდიანი თანადაფინანსების ფონდი. მნიშვნელოვანია ის, რომ ქვეყანაში დაინყება სერიოზული პროექტების განხორციელება, მათ შორის ანაკლიის პორტის და სხვა პროექტების. ეკონომიკის განვითარებისთვის ასეთი პირობები ჩვენს ქვეყანას არასდროს ჰქონია. მეჩვენება, რომ ყველაფერი თავის რიგზეა, მათ შორის სამართლიანობის აღდგენის პროცესი შესაძლებლობების ფარგლებში მიმდინარეობს. ხალხს უბრუნდება თავის დროზე წართმეული ქონება, საკუთრება და ქვეყანაში ნელ-ნელა ყველაფერი ლაგდება.

რაც შეეხება ეკონომიკის 6%-იან ზრდას, რომელზეც წინა ხელისუფლებამ ხშირად საუბრობდა, ეს იყო სრული ბლეფი. ვინაიდან ამ მაჩვენებლის ზრდა ხდებოდა ქუთაისში პარლამენტის და ბათუმში ტექნიკური უნივერსიტეტის მშენებლობის ხარჯზე. როგორცაა ეს შენობა აშენებული, ამაზე საუბარი ზედმეტია. როგორ შეიძლება ტექნიკური უნივერსიტეტის კონსტრუქციის განთავსება, სადაც დანადგარები უნდა იყოს. ასეთი ტიპის უნივერსიტეტს დაბალი შენობა სჭირდება. მასაჟი-სტის უნივერსიტეტი სამ სართულზე მალაღობს არაა.

– ოპოზიციამ ხელისუფლებას შემოსავლების 33 მილიონით კლება უსაფუძვლად და ბიუჯეტის შესრულებლობის მიზნად ხელისუფლების ეკონომიკური გუნდის არაკომპეტენტურობა, ეკონომიკური განვითარების შედეგად და გეგმის უქონლობა დასახელება. თქვენი აზრით, რას უკავშირდება შემოსავლების კლება და თუ ვითარებით ხელისუფლების მისამართით ოპოზიციის პრეტენზიებს არაკომპეტენტურობასთან დაკავშირებით?

– რა თქმა უნდა, არ ვეთანხმები. საერთოდ, ბიუჯეტი არის პროფიციტური. თავის დროზე „ნაციონალიზმის“ ლიდერები პროფიციტური ბიუჯეტით ამაყობდნენ. სინამდვილეში, ეს ძალიან ცუდია. ეს იმას ნიშნავს, რომ ქვეყანაში არის ფული და ის არ იხარჯება. ეკონომიკის კარგი განვითარებისთვის ბიუჯეტი დასალოებით 3%-ით უნდა იყოს დეფიციტური. ასლა ჩვენ წინასაარჩევნო რეჟიმში ვართ. ასეთ ვითარებაში ძალიან მწიფია დიდ შემოსავლების ელოდო. გასაგებია, „ნაციონალიზმის“ სტრატეგია: უნდა აგინონ ხელისუფლება, მაგრამ რატომღაც იმას ივინყებენ, რომ, როდესაც ახალმა ხელისუფლებამ ძალაუფლება მათგან მიიღო, დიდ კომპანიებს წინასწარ ჰქონდათ გადახდილი 1, 5 მილიარდის გადასახადები. ის, თუ როგორ დაიხარჯა ეს ფული არჩევნების წინ, ყველაზე კარგად იცის. ასეთ ვითარებაში წინა ხელისუფლების პრეტენზიები, რომ ეკონომიკის ზრდამ იკლო, ჩემი აზრით, როგორც მინიმუმ, უსამართლოა.

– პარლამენტარ ზურაბ მელიქიშვილის მტკიცებით, 2013 წელს საგადასახადო შემოსავლების კლების დინამიკის გამო მთავრობა იძულებული იქნება პარლამენტს საგადასახადო გეგმის ცვლილებების ინიციატივით მიმართოს. მისივე ვარაუდით, ცვლილება ბიუჯეტის შემცირებაზე „მინიმუმ 400 მილიონი ლარი იქნება“. რამდენად საფუძვლიანია დებულება მედიისთვის პროგნოზი?

– ვერ გეტყვი. ასეც რომ იყოს, ეს დიდი კატასტროფა არ იქნება. თუმცა, არა მგონია ასე იყოს და ვფიქრობ, რომ კანონი სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ შესრულდება.

– დებულებამა გიორგი თევდორაძემ საპარლამენტო უმრავლესობას 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ შეჩერებული პროექტები დაუხსანდა. უმრავლესობის წარმომადგენელმა გიგლა აგულაშვილმა ოპოზიციას ახლადამოწმებული საწარმოების მონახულება შესთავაზა და აღნიშნა, რომ 2013 წელს სოფლის მეურნეობის სექტორში მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებელი 7%-ით გაიზარდა. თქვენთვის რამდენად დამაჯერებელია ხელისუფლების არგუმენტები შეჩერებულ პროექტებთან დაკავშირებით?

– დამაჯერებელია, რადგან აქცენტი, რომელიც გადატანილი იყო სოფლის მეურნეობაზე, ძალიან საინტერესო გახლდათ. სოფლის მეურნეობაში მართლაც განხორციელდა მნიშვნელოვანი ინვესტიციები, შეიქმნა სოფლის მეურნეობის დაკრედიტების ახლებური სისტემა. სახელმწიფომ თავის თავზე აიღო კრედიტების პროცენტის დიდი ნაწილის გადახდა, რამაც სოფლის მეურნეობის სფეროში დასაქმებული მენარმეებისთვის



ალექსანდრე თვალსაზრისით:

პრემიერი ოდნავ შეუფრთხილებულია, რომ საზოგადოებას კარგად არ აქვს გასწავლილი, რას აკეთებს მთავრობა

მწიფნის ეკონომიკურ პრობლემებზე, პრემიერი ივანიშვილის ექსპერტებთან და ჟურნალისტებთან ღია ვთერში საუბრების შესახებ „ინტერპრესნიუსი“ საბუნებისმეტყველო აკადემიის აკადემიკოს, ექსპერტს ეკონომიკურ საკითხებში ალექსანდრე თვალსაზრისით ესაუბრა.

საქმიანობის კარგი გარემო შექმნა. მაგრამ, ეს საკმარისი არ არის. სოფლის მეურნეობისათვის საჭიროა ორი რამ – გასაღების ბაზარი და გადამამუშავებელი მრეწველობა. თანადაფინანსების ფონდი ზუსტად ამისთვის დაფუძნდა. ერთ წელიწადში ეკონომიკაში იმაზე მეტის გაცემა შეუძლებელი იყო, ვიდრე გაცემდა. იმისთვის, რომ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტი ექსპორტზე წავიდეს, საჭიროა მისი სპეციფიკური დამუშავება, მსოფლიოში მიღებული ტექნოლოგიების გამოყენებით დამზადება და სტანდარტებამდე მიყვანა. ასეთი სიმძლავრეები ჩვენ ჯერჯერობით ნაკლებად გვაქვს, მაგრამ ნელ-ნელა გავითვალისწინებ. მეორე მხრივ, რასაკვირველია, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტი გაიზარდა, ნაწილობრივ მაინც გაიზარდა რუსეთის ბაზარი. ჩემი აზრით, სოფლის მეურნეობაში დადებითი ტენდენციები გვაქვს, მაგრამ ეს არასაკმარისია და ამ მიმართულებით საქმიანობა უნდა გაგრძელდეს.

– ხელისუფლებამ სოფლის მეურნეობაში წლეულს საკმაოდ ბევრი ინვესტიცია განახორციელა. თქვენი შეფასებით, რამდენად წარმატებული აღმოჩნდა ახალი ხელისუფლების მიერ სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის ჩადებული ინვესტიციები?

– სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში უკუგება რომ მიიღო, ჯერ უნდა მიიღო ნორმალური მოსავალი. ის ინვესტიციები, რომლებიც განხორციელდა სოფლის მეურნეობაში, შედეგს მალე მოგვცემს, ვინაიდან მოსავალი ახლა მოდის. ყოველ შემთხვევაში პირველად საქართველოში მოხდა ის, რომ გლეხები კახეთში ნორმალურ ფასებში აბარებენ ყურძენს. შარშან „ნაციონალიზმის“ ყურძენს კახეთში 20 თეთრად იბარებდა, წელს კი კილოგრამ ყურძენს 1 ლარად იბარებენ. ასე რომ, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში ინვესტიციები გრძელვადიანი ინვესტიციები და იგი შედეგს ნელ-ნელა აუცილებლად მოგვცემს. ამ სფეროში რეალურ უკუგებას ჩვენ 2014 წლის გაზაფხულზე უნდა ველოდო.

– დებულებამ მისიელ მაჭავარიანის მტკიცებით, ახალმა ხელისუფლებამ დაუბეგრავი მინიმუმი შემოიღო, რომლის ეფექტი მომავალი წლის ბიუჯეტს ექვს თვეში იქნება. იგი ექვს გამოთქვამს, რომ დაუბეგრავი მინიმუმის შემოღებისაგან ეფექტი ისეთი არ იქნება, რაც ქვეყანას სჭირდება. ოპოზიციამ ხელისუფლებას ეკონომიკური ინიციატივების განხორციელება და არსებული მდგომარეობიდან გამოსასვლელად თანამშრომლობა შესთავაზა. რამდენად გამართლებული იყო დაუბეგრავი მინიმუმის შემოღება და რა წვლილი შეუძლია შეიტანოს ოპოზიციას იმაში, რომ იგი დაეხმაროს ხელისუფლებას ეკონომიკის განვითარებაში არსებული პრობლემების დაძლევაში?

– მაჭავარიანის მხრიდან ამ ტიპის განცხადებები ცარიელი პროპაგანდაა და სხვა არაფერი. მიხეილ მაჭავარიანმა და მისმა თანამოაზრებმა თუ რა ეკონომიკური განვითარების გეგმა შექმნეს, ეს ცალკე საუბრის თემაა.

რაც შეეხება დაუბეგრავი მინიმუმს, ის ამ მთავრობას არ შეეძლო და დაუსწებია. დაუბეგრავი მინიმუმი ქვეყანაში არსებობდა სხვადასხვა გადასახადების თვალსაზრისით. მაგალითად, არსებობს კანონი, რომლითაც თუ 40 ათას ლარზე ნაკლები გაქვთ შემოსავალი, თქვენ ქონების გადასახადს არ იხდით. რა არის ეს, თუ არა დაუბეგრავი მინიმუმი? ზოგადად, დაუბეგრავი მინიმუმი არის მცირე მენარმეობის განვითარების

ყველაზე დიდი სტიმული ყველა ქვეყანაში. მეც გახლდით დაუბეგრავი მინიმუმის რეჟიმში, როცა საფრანგეთში ვცხოვრობდი. თუ ჩვენ გვირდა და თუ ჩვენ ვთვლით, რომ ქვეყანაში განვითარდეს მცირე და საშუალო მენარმეობა, ეს მართლაც აუცილებლად გასაკეთებელი იყო. შესაძლოა, უკუგება არაპირდაპირია, მაგრამ ირიბი. ხაზინაში შემოსავლები შევა, მაგრამ შევა არა პირდაპირ ბიზნესიდან, არამედ გაყიდვებიდან. მცირე საწარმოები შექმნიან პროდუქტს, რომელსაც წაიღებენ მალაზიაში და შემოსავალი სწორედ იქიდან შემოვა. საშუალო საზოგადოება გაიზარდება, მაგრამ საბოლოო ჯამში ბიუჯეტში შემოსავლები გაიზარდება. ასე რომ, ბატონმა მაჭავარიანმა კეთილი უნდა იხებოს და ეკონომიკური ანალიზი გააკეთოს.

რაც შეეხება იმას, თუ რით შეუძლია ოპოზიციის დაეხმაროს ხელისუფლებას ეკონომიკის განვითარებაში, ჩემი აზრით, არაფრით არ შეუძლია. ვფიქრობ, „ნაციონალიზმის“ მხრიდან ამგვარი განცხადებების გაცემა პოლიტიკური ხრიკია და მეტი არაფერი. ამ თემაზე „ნაციონალიზმი“ მხოლოდ იმიტომ საუბრობს, რომ მათ უნდათ ევატოთ ის, რაც მოსაზრებს. ცალსახად შემიძლია ვთქვა, რომ მათ ეკონომიკის განვითარებაში თანამონაწილეობა არ აინტერესებთ.

– ივანიშვილის განცხადებას, რომ ანაკლიაში პორტი აშენდება, რომლითაც 10 მილიონი ტონა ტვირთის გადაზიდვა იქნება შესაძლებელი, „ნაციონალიზმის“ ლიდერების მწვავე განცხადებები მოხვდა იმის თაობაზე, რომ ამდენ ტვირთზე საუბარი გადაჭარბებულია და ამ პროექტთან დაკავშირებით ბევრი რამ გაუთვალისწინებელია, თქვენც ასე ფიქრობთ?

– ანაკლიის პორტს საქართველოსთვის აქვს სტრატეგიული მნიშვნელობა. როგორც ნიკო ნიკოლაძის დროს ჰქონდა ფოთის პორტს სტრატეგიული მნიშვნელობა ქვეყნის განვითარებისთვის, ახლა ასეთივე მნიშვნელობა აქვს ანაკლიის პორტს. ამ პროექტს ეკონომიკური და სოციალური მნიშვნელობა აქვს, მას ასევე უსაფრთხოების თვალსაზრისითაც აქვს მნიშვნელობა.

გარდა ამისა, ანაკლიის პორტის სრულად დატვირთვისთვის აუცილებელია შესაბამისი დონის მიწების გატარება, ჩვენს მემოზელ ქვეყნებთან მუშაობა და ასე შემდეგ. შემიძლია გითხრა, რომ ტვირთბრუნება, რომელიც ახერხებია ივანიშვილმა შემოდის, რამოდენიმე ასეული მილიონი ტონაა. აუცილებელია ამ პროექტის სწორი ლოჯისტიკური მომსახურება. ირანისათვის განკუთვნილი ტვირთი ირანში მანქანებით კი არ უნდა გადაიხდოს, არამედ – რკინიგზით, რაც სხვათა შორის, უფრო იაფად დადგება. ასე რომ, აქ მეტი მუშაობა არის მოსახერხებელი მუშაობებთან – სომხეთთან, აზერბაიჯანთან, თურქეთთან და ირანთან. მეჩვენება, რომ ის სიმძლავრე, რომელიც ანაკლიის პორტისთვის არის განკუთვნილი, სწორად არის გათვლილი და აბსოლუტურად აუცილებელია მისი მშენებლობა. ოღონდ, ახლა მთავარია იგივე არ მოხდეს, რაც აზერბაიჯანულმა სოკარმა ყულუფის ტერმინალთან დაკავშირებით გააკეთა. მხედველობაში მაქვს ის, რომ მან ტერმინალი იმისთვის მისიკუთრა, რომ საქართველოში აზერბაიჯანის გარდა, სხვა ქვეყნებიდან ნავთობპროდუქტები არ შემოსულიყო.

– ანაკლიის პორტის აშენების შემდეგ ხომ არ დაზარალებდა ფოთის პორტი?

– არა მგონია, რომ დაზარალებდეს. ესეც ლოჯისტიკური პრობლემაა და ტვირთბრუნვის მენეჯმენტს უკავშირდება. კარგი ნამდვილად არაა, როცა ფოთში 4-5 დღე იცდინა რეიდზე გემები და პორტი ვერ ასწრებს მათ მომსახურებას. ამაში უზარმაზარი ფული იკარგება, ამიტომ ვიმეორებ, ეს იმ ტიპის ლოჯისტიკური პრობლემაა, რომელიც მოგვარებადი და დაძლევადა.

– გასულ კვირას პრემიერი-მინისტრს ღია სატელევიზიო ვთერში ჰქონდა შეხვედრა ექსპერტებთან. ამგვარი შეხვედრა ტელევიზიების საინფორმაციო სამსახურების უფროსებთან და პოლიტიკური მოუხ წამყვან ჟურნალისტებთანაც გამართა. პრემიერის ამგვარი განცხადება ბევრმა „ქუთის სწავლების ორგანიზაციის ფორმად“ შეაფასა. თქვენზე რა შთაბეჭდილება დატოვა ექსპერტებმა და ჟურნალისტებთან პრემიერის სატელევიზიო საუბრებმა და კამათმა?

– მეჩვენება, რომ ბატონი პრემიერი-მინისტრი ოდნავ შემოფრთხილებული იმით, რომ საზოგადოებას კარგად არა აქვს გათვალისწინებული, თუ რას აკეთებენ ის და მისი მთავრობა. მისი აზრით, ვერც ექსპერტები ხვდებიან ბოლომდე, თუ რისკენ არის მიმართული მისი სტრატეგია.

ეკონომიკური და სოციალური სტრატეგია ყოველთვის გრძელ პერსპექტივაზეა გათვლილი. ჩვენ კი, ქართველები მოუთმენლები ვართ და ყველაფერი „გუშინ“ გვინდა. მეჩვენება, რომ, შესაძლოა, ფორმა მართლაც საუკეთესო არ არის, მაგრამ მას გულწრფელად უნდა ახსნას ის, თუ რა გააკეთა პოლიტიკაში მოსვლის შემდეგ და რისი გაცემა უნდა. ჩვენს საზოგადოებაში მართლაც შეუქცევადი პროცესები განხორციელდა. თუნდაც ის, რომ აზრის თავისუფლად გამოთქმა და პრემიერის კრიტიკა ალარავის ეშინია, უკვე კარგია. ორ წლის წინ ამგვარი რამის ფუფუნება საქართველოში არავის არ ჰქონია.

მეორე მხრივ, სამწუხაროდ კრიტიკა არის არაპროფესიული და პიარზე გათვლილი. ეს კი მას აღიზიანებს. მაგალითად, ის კრიტიკა, რომელიც ხუდონშვილის ირგვლივ გაიმართა. ხუდონშვილი რომ არ აშენდეს, 2025 წლისთვის საქართველო ისევ ჩანებულდება. ასეთი მაგალითი კი ძალიან ბევრია. როდესაც ვინმე მის მიდგომას და პროექტს აკრიტიკებს, კრიტიკა უფრო მეტად არგუმენტირებული და საფუძვლიანი უნდა იყოს. მეჩვენება, რომ პრემიერი არ არის კმაყოფილი იმით, თუ როგორ შეუძლება მისი და მისი მთავრობის საქმიანობა. ის არ არის კმაყოფილი იმ გაცემით, რომელსაც ტელევიზიები მის საქმიანობასთან დაკავშირებით აფიქსირებენ და საზოგადოებას აწვდიან. პრემიერი ცდილობს ყველას გულწრფელად აუხსნას მისი ხედვა იმაზე, თუ რისი გაცემა უნდა. რაც შეეხება ფორმას, ეს უკვე სხვა საკითხია.

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

ემროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ მიიღო ახალი რეზოლუცია, რომელშიც მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა საქართველოს დოკუმენტში გამოთქმულია შეზღუდვა რუსეთის მიერ იმ შეთანხმებათა შეუსრულებლობის გამო, რომლებიც მიღწეული იქნა 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, და მისი ზემოქმედების გამო საქართველოზე, რაც სამხრეთი ოსეთის საზღვრის მოწესრიგში გამოიხატება. რეზოლუციის მიღებას წინ უსწრებდა სტრასბურგში პიკეტირება რუსეთისა და საქართველოს დელეგაციების წარმომადგენელთა, აგრეთვე საქართველოს წინა და ახლანდელ ხელისუფალთა შორის.

ევროპის დეპუტატებმა საჭიროდ ჩათვალეს შეკითხვოდენ რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო დუმის სპიკერს სერგეი ნარიშკინს, რომელიც 45 წუთიანი სიტყვით გამოდიოდა, ზემოქმედების შესახებ, რასაც რუსეთი უწევს სსრ კავშირის ყოფილ რესპუბლიკებს თავის სასარგებლოდ მათი საგარეო-პოლიტიკური ორიენტაციების კორექტირებისთვის. კერძოდ, რატომ იყენებენ საქართველოს წინააღმდეგ მის ოკუპირებულ ტერიტორიებს, და ახალსტა ერთ-ერთმა მათგანმა.

ნარიშკინმა კატეგორიულად უარყო აზრი რუსეთის ფედერაციის ზემოქმედების შესახებ პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებზე. „ესენი არიან დამოუკიდებელი სახელმწიფოები, ამიტომ მათი ხალხები და ხელისუფლებები თავად გადაწყვეტენ, რომელ კავშირებსა და გაერთიანებებში შევიდნენ. არანაირი ზემოქმედება მოსკოვის მხრიდან არ ყოფილა და არც არის“, - განაცხადა ნარიშკინმა. როდესაც დასმულ შეკითხვას უპასუხებდა, სახელმწიფო დუმის სპიკერი შეხვდა აგრეთვე აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის სუვერენიტეტს, რამაც საქართველოს დელეგაციის პროტესტი გამოიწვია. საქართველოს პარლამენტის უმრავლესობის წევრმა თინა ხიდაშელმა განაცხადა, რომ მათი დამოუკიდებლობა აღიარა მხოლოდ რუსეთმა და არავინ სხვამ ევროპაში, ამიტომ საუბარი აფხაზეთსა და

ემროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა საქართველოს გამოქოვება ივანიშვილი არ ჩადის კონფლიქტის ზონაში, რათა სხვა არ დაეარბოს

სამხრეთ ოსეთზე, როგორც სუვერენულ სახელმწიფოებზე, უსამართლობაა.

ინტეგრაციის საკითხებზე სახელმწიფო მინისტრმა პაატა ზაქარეიშვილმა განაცხადა, რომ მთავრობა ღირსეულად ართმევს თავს პრობლემებსა და გამოწვევებს ამ მიმართულებით. მისი

2008 წლის ომის დროს და პატრონები მათ არ ალაღვედნენ. „თუ საირიგაციო სისტემა აღმოჩნდება იმ მხარეს, ჩვენ ახლად სადგურს ავაგებთ“, - განაცხადა ზაქარეიშვილმა.

ორშაბათს საქართველოში ვიზიტი დაამთავრეს ევროსაბჭოს პოლიტიკისა და უშიშროების სა-



სიტყვებით, პროვოკაცია დვანში მიზნად ისახავს საქართველოს ჩართვას ახალ კონფლიქტში, მაგრამ 2008 წლისგან განსხვავებით, სცენარი განწირულია ჩავარდნისთვის. ზაქარეიშვილის სიტყვებით, ინფორმაცია ადგილიდან მოდის ერთგვარი დამახინჯებით. მან შენიშნა, რომ არაფერია იმაში კარგი, რომ ქართული ოჯახების სამი სახლი აღმოჩნდა იმ მხარეს, მაგრამ რატომღაც დუმან იმის შესახებ, რომ ეს სახლები, არსებითად, არ იყო საცხოვრებლები, რადგანაც ძლიერ დაზიანდნენ

კითხვების კომიტეტის ელჩებმა. ისინი შეხვდნენ საქართველოს ხელმძღვანელებს და იყენებდნენ საქართველოს მონაწილეს ადგილებში, რის შემდეგაც გააკეთეს განცხადება, რომელშიც გამოთქვეს შემოფოტება საქართველოსა და სამხრეთ ოსეთის შორის დაბრკოლებების აგებასთან დაკავშირებით და აღნიშნეს, რომ ეს შეზღუდვები ნეგატიურ გავლენას ახდენს ადგილობრივ მოსახლეობაზე, რომლებსაც ექმნებათ დაბრკოლებები გადაადგილებასთან დაკავში-

რებით. პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ბრალი დასდო უმოქმედობაში მთავრობას, რომელმაც არ იკადრა, ჩასულიყო სოფელში, სადაც მცხოვრებლები ასეთ მძიმე მდგომარეობაში არიან.

დაუსრულებელ პოლემიკაში პრეზიდენტთან ჩაერთო პრემიერი ბიძინა ივანიშვილი, რომელიც საამბაბათს შეხვდა წამყვანი ტელეარხების ჟურნალისტებს. მისი სიტყვებით, სოფლებში დაცხა და დვანში უკვე იყო რამდენიმე მინისტრი, და მალე იქ ჩავა ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი დავით სერგეენკო (მინისტრი უკვე იყო იმ სოფლებში - რიქ), რომ იქონიო წარმოდგენა, თუ, უწინარეს ყოვლისა, რა სჭირდება მოსახლეობას. ივანიშვილმა მოუწოდა როგორც ჟურნალისტებს, ისე ყოველი ხელისუფლების წარმომადგენლებს, ნუ მოახდენენ ვითარების მანიპულირებას და ნუ გამოიყენებენ მათ ერთგვარი დივიდენდების მოსაპოვებლად. მან განაცხადა: „არ იქნებოდა ცუდი მეც რომ ჩავსულიყავი დვანსა და დიც-ში... მაგრამ მე მაქვს კიდევ ბევრი საქმე, ძალ-ღონეს არ ვიშურებ, მაგრამ რამდენიმე წაწილად გახლენჯა არ შემიძლია. ჩემი გამგზავრებაც იქ არაფერს შეცვლიდა“.

პრემიერ-მინისტრმა კვლავ მოუწოდა პრეზიდენტ სააკაშვილსა და მისი გუნდის წევრებს, ნუ ცდილობენ მისი ჭკუის სწავლებას, თუ როგორ მოიტყვეს ამა თუ იმ შემთხვევაში. „ამჟამინდელი სიტუაცია, ისევე როგორც 2008 წლის ომი, არ იქნებოდა სააკაშვილის პროვოკაციული გარეშე. იგი მათ გგვამავდა ცნინვალის წინააღმდეგ ჯერ კიდევ ორი წლით ადრე ომამდე, მაგრამ პირადად მე მაშინ შევფიქრე მისი შეჩერება. მე ბრალს არ ვდებ საქართველოს იმ ომში. ღმერთმა დამიფაროს! ჩემი ბრალდება ეკუთვნის მის მთავრობას... ახლა კი იგი მე მასწავლის, თუ როგორ მოვიქცევი?“, - განაცხადა ივანიშვილმა.

პრემიერის სიტყვებით, მას იმედი აქვს დასავლეთის მხარდაჭერისა.



დედაიშინის ზურგზე



უკრაინის პრეზიდენტს ბიძინა ივანიშვილიმ დაამოწმებინა: „ბავშვობაში იმდენივე იყავი, ცოლი კი ძვირფასი“

უკრაინის ოპოზიციურმა დეპუტატმა ალექსანდრა კუჩუმა განაცხადა, რომ პრეზიდენტ იანუკოვიჩის წინააღმდეგ „გაერთიანდნენ“ ერთგვარი სამონასტრო ბერები. ისინი კითხულობენ ფსალმუნს, რომელიც უსვავდაა წყველებით. მაგალითად, იანუკოვიჩის უსურვებენ „სანმოკლე დღეებს“, მის შვილებს - სიღარიბეს, მთელ გვარს კი - დაღუპვას.

ჩინელ ტურისტებს აუკრძალეს თითოებით ცხვირის ჩიჩინა, ასტროის (ლაფშის) სმამაღალი შაბა და მოზარდვა უცხოეთის ბუზებში



64-გვერდიან ბუკლეტში, რომელიც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხელისუფლებამ გამოსცა, ტურისტებს ასევე ურჩევენ არ ჩაიყონ თითები პირში, დიდხანს არ დაიკავონ საზოგადოებრივი ტრანსპორტი და არ მოიპარონ სამაშველო ფილტვები თვითმფრინვიდან. გერმანიაში ჩინელებმა ხალხს არ უნდა მოუხმონ ხელის ქნევით. ესპანეთში კი ჩინელებმა ქალებმა უნდა ატარონ საყურეები, რათა არ გამოიყურებოდნენ „შიშველბად“.

გამგზავა ბრიტანეთის მრეწველი კოლონიების თანამშრომლებიდან გამომდინარე



რესპუბლიკის პრეზიდენტი იაია ჯამე რამდენიმე წლის წინათ გამოვიდა ბრალდებით ლონდონის მისამართით, განაცხადა, რომ იგი აფინანსებს ოპოზიციას ამ დასავლეთ აფრიკის ქვეყანაში. დიდი ბრიტანეთი, თქვა მაშინ მან, „ვერასოდეს შეძლებს კვლავ გავიქოს კოლონიად“.

„შავი ოთხშაბათი“ ტენისის-თისის: გადამბრუნდა ამტოვსი. საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის შედეგად დაიღუპა 8 კაცი, 14 დაზარალდა. ავტობუსი, რომელიც ჩრდილოეთი კაროლინის შტატიდან მოდიოდა, გადავიდა შემხვედრ ზოლზე, დაეჯახა სატვირთო ავტომობილს, გადაბრუნდა და ამის შემდეგ გაუჩნდა ცეცხლი. მომხდარის ადგილზე მივიდა „სასწრაფო დახმარების“ დახმარებით 20 მანქანა და სული შეუღმდნენ.



საქართველოს საზღვარზე მოქმედებისთვის რუსეთს აკრიტიკებენ

რუსეთი მკაცრად გააკრიტიკეს მას შემდეგ, რაც რამდენიმე დღის წინათ მისმა მესაზღვრეებმა საქართველოს ტერიტორიაზე განაახლეს „სადემარკაციო პროექტი“, რისთვისაც გააჩაფთვეს მავთულხლართები საქართველოს რაიონებში. დასავლეთი რამდენიმე დღის განმავლობაში თვალყურს ადევნებდა სიტუაციას, რის შემდეგაც 2 ოქტომბერს ამერიკის შეერთებული შტატები, ევროკავშირი და ნატო თითქმის სინქრონულად გამოვიდნენ განცხადებით ამასთან დაკავშირებით.

განხილვაზე რუსეთის კრიტიკით

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა მარი ჰარფმა ურუნალისტებს განუცხადა, რომ მისი უწყება „არის საქმის კურსში რუსეთის მხარის მოქმედებასთან დაკავშირებით საქართველოსთან ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის ბარიერების აგების შესახებ“. ეს მოქმედებები ეწინააღმდეგება რუსეთის ფედერაციის ვალდებულებებს და არღვევს საქართველოს სუვერენიტეტს. ჩვენ მოვუწოდებთ რუსეთს აიღოს ეს ბარიერები და სხვა დაბრკოლებები“, - განაცხადა ქალბატონმა მარი ჰარფმა.

ევროკავშირის საგარეო პოლიტიკისა და უშიშროების უმაღლესი წარმომადგენლის პრესმდივანმა კეტრინ ეშტონმა გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ „ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი ღრმა შეშფოთებით აღნიშნავს რუსეთის უშიშროების ძალების სულ უფრო და უფრო მზარდ საქმიანობას დაბრკოლებებისა და სხვა საზღვრების აღმართვისთვის საქართველოში ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზების გასწვრივ. ასეთი ღონისძიებები ხორციელდება აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის რეგიონებში“.

მიანობა, რომელიც ეწინააღმდეგება საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, ქმნის მიშენელოვან უხერხულობას მცხოვრებლებსთვის ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის ორივე მხარეს და ეჭვქვეშ აყენებს სტაბილურობასა და უშიშროებას ამ რეგიონებში“.

ნატოს გენერალურმა მდივანმა ანდრე ფოგრასმუსენმაც ასევე გამოთქვა თავისი შეშფოტება მომხდარის გამო: „ეს უპირისპირდება რუსეთის საერთაშორისო ვალდებულებებს და ხელს არ უწყობს კონფლიქტის მშვიდობიან მოწესრიგებას. ეს ნეგატიურ გავლენას ახდენს სიტუაციაზე ამ ადგილებში და ეს აისახება კიდევ საქართველოს იმ მოქალაქეების ყოფაზე, რომლებიც ცხოვრობენ ადმინისტრაციული საზღვრის ორივე მხარეს“. რასმუსენმა ასევე მოუწოდა რუსეთს „გააუქმოს საქართველოს რაიონები - სამხრეთი ოსეთისა და აფხაზეთის - აღიარება დამოუკიდებელ სახელმწიფოებად“.

რატომ ასეა?

ბმ დროს ბევრ მეთვალყურეს გაუჩნდა შეკითხვა, რატომ სწორედ ახლა, როდესაც შთაბეჭდილება რუსეთის საგარეო პოლიტიკის გამო ევროპაში სერიოზულად გაუზოგბესდა სირიაში ქიმიური იარაღის კრიზისის გადაჭრის მოსკოვის წინადადებასთან დაკავშირებით. საქართველოში კი რუსეთის მხარე გადადგა ისეთი ნაბიჯები, რომლებიც ევროპაში დაგმობის მტელ არაფერს იმსახურებენ. ამ საკითხზე მოსკოვის საქმიანობას ერთგვარი გამამართლებელი პასუხი გაცა სექტემბრის ბოლოს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა: „ჩემი ინფორმაციით, ეს ხდება ოლიმპიადასთან დაკავშირებით. რუსეთში ყველა ამ თემაზეა გადართული. ჩვენ, ჩვენის მხრივ, ყველაფერს ვაკეთებთ, რომ მაქსიმალურად შევლყნოთ ხელი რუსეთის ოლიმპი-

ადის გამართვაში. ვფიქრობ, რომ სანამ იგი არ დამთავრდება, მანამდე ვერ გავრკვევით ურთიერთობებში ჩვენს დიდ მეზობელთან“, - განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა 25 სექტემბერს, როდესაც თბილისში ექსპერტებს მიმართავდა.

ზოგიერთი მეთვალყურე ასევე ვარაუდობს, რომ მოსკოვის აქტივობა საქართველოს საზღვრებზე არის ერთგვარი პასუხი საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტისთვის, რომელმაც სექტემბრის ბოლოს, საქართველოს მოთხოვნის პასუხად, განაცხადა, რომ არც აფხაზეთი, არც სამხრეთი ოსეთი ოლიმპიადაში, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოები, მონაწილეობას არ მიიღებენ.

ლილია შავიშვილი: მოსკოვი კვლავ დილანს გააგრძელებს „ჯიქურ სვლას“

პოლიტიკოლოგი კარნეგის მოსკოვის ცენტრიდან ლილია შვეცოვა ამერიკის ხმის რუსული სამსახურისთვის მიცემულ ინტერვიუში ამბობს, რომ რუსეთი უნდა იღოს წლებში ძნელად გადაწყვეტის, თუ რა უნდა შეცვალოს პოლიტიკაში და გააგრძელებს „ჯიქურ სვლას“:

„ჯერჯერობით პუტინმა და კრემლმა ლაგამს კბილები დააჭირეს. ვერჯერობით, განსაკუთრებით სირიის პრობლემების გამო, ისინი თავს გამარჯვებულად და გლობალურ მოთამაშეებად გრძობენ. და ამიტომ კვლავ გაგრძელდება ეს ქუჩური ტაქტიკა: „თქვენ მანინც ყველაფერს გადაწყობათ“.

ექსპერტს მიაჩნია, რომ კრემლი ცდილობს, „გაიმყაროს მსოფლიოში გარკვეული პოზიციები, სანამ დასავლეთის მოდუნებული და დემორალიზებული ლიდერების ფონზე პუტინი გამოიყურება, როგორც კლდე. მისი მოთოკვა შეეძლო მერკელს, მაგრამ მას ამის გაკეთება არ სურს“.

ეროვნული აკადემია

გენოფონდის შესწავლა – საბუნებო უკრძალვა

საბარტოველს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის (სმეა-ის) აკადემიური საბჭოს ბოლო სხდომის დღის წესრიგი, როგორც ყოველთვის, დატვირთული და მრავალფეროვანი იყო. შეკრების წამყვანმა, აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გიორგი კვეციანიძემ პირველ საკითხზე – საქართველოს გენოფონდის შესწავლის შესახებ – სიტყვა პროფესორ რამაზ შენგელიას მისცა.

ქვეყნის გენოფონდის მიზანმიმართული და გეგმაზომიერი შესწავლა, რაც დიდი ეროვნული და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა, საქართველოში თურმე ერთობ ნელი ტემპით მიმდინარეობს. სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით, სწორედ ამ მნიშვნელობის გათვალისწინებით, საბჭოთა მოინონა მომსახურების წინადადება აკადემიაში კომპეტენტური კომისიის შექმნის თაობაზე, რომელიც უხელმძღვანელებს საქართველოს გენოფონდის საფუძვლიან შესწავლისათვის სათანადო კვლევების დაგეგმვასა და ჩატარებას, საჭირო კადრებისა და სპეციალისტების მომზადებას.

დამტკიცდა ეროვნული აკადემიის საგამოცემლო-სარედაქციო საბჭოს დებულება და ახალი, ათკაციანი შემადგენლობა (თავმჯდომარე აკადემიკოსი გიორგი კვეციანიძე, თავმჯდომარის მოადგილე აკადემიკოსი როინ მეტრეველი).

გამოჩენილ მეცნიერთა სახელობითი სააკადემიო პრემიების მიწოდების შესახებ დებულების შესახებ ეროვნული აკადემიის სამეცნიერო განყოფილება აკადემიკოს-დოქტორებთან პრემიების მოსაპოვებლად შემოსულ ნაშრომთა შეფასებისთვის საექსპერტო კომისიები წარმოადგინეს. სულ დამტკიცდა 10 საექსპერტო კომისია შემდგომ სახელობითი სააკადემიო პრემიების მიხედვით:

- 1. ელექტრონული ანდრონიკაშვილის სახელობისა; 2. ვახუშტი

- ბაგრატიონის სახელობისა; 3. გიორგი ნიკოლაძის სახელობისა; 4. რაფიელ აგლაძის სახელობისა; 5. ლეო დავითაშვილის სახელობისა; 6. ზაზა ფანასკერტელის სახელობისა; 7. სიმონ ჯანაშიას სახელობისა; 8. დიმიტრი უზნაძის სახელობისა; 9. გიორგი წერეთლის სახელობისა; 10. არნოლდ ჩიქობავას სახელობისა.

აკადემიურმა საბჭომ იმსჯელა ეროვნული აკადემიის უცხოელ წევრად აზერბაიჯანელი სწავლულის აბელ მამედოლი მატერამოვის არჩევის თაობაზე. აკადემიკოსმა გივი ცინცაძემ სხდომას მოახსენა, რომ ეს გამოჩენილი ქიმიკოსი გახლავთ აზერბაიჯანის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, ბაქოს სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი და ქიმიის კათედრის გამგე, აზერბაიჯანის მეჯლისის წევრი; იგი 900-ზე მეტი მეცნიერული პუბლიკაციის, 16 მონოგრაფიისა და 51 სახელმძღვანელოს ავტორია; ქართველ მკვლევართან ერთად მუშაობს სუპერმოლეკულური ქიმიის აქტუალურ პრობლემებზე, გამოქვეყნებული აქვს ერთობლივი ნაშრომები და დატვირთული აქვს ასევე ერთობლივი მონოგრაფიებისა თუ სახელმძღვანელოების გამოცემა. აკადემიკოს ა. მატერამოვის თვალსაჩინო წვლილი მიუძღვის ქართველი კადრების მომზადების საქმეშიც.

სხდომამ დაადგინა, რომ სმეა-ის ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების განყოფილებაში დაწესდეს ერთი ვაკანსია უცხოელი წევრისა ორგანიზაციის ქიმიის დარგში. დაკმაყოფილდეს განყოფილების შუამდგომლობა და სმეა-ის უცხოელ წევრთად არჩეულ იქნას აზერბაიჯანის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრი აბელ მამედოლი – ორგანული ქიმიის სპეციალისტით.

თავაზუ ევანოვიძე

უმაღლესი სკოლა



სტუდენტებს სწავლის გადასახალის გაღასდა კალიან გაუჭირდათ

ძვეყანაში არსებულმა ეკონომიკურმა სტაგნაციამ დიდი გავლენა მოახდინა სტუდენტებზე და მათი ოჯახის წევრებზე. უმაღლესი სასწავლებლებს თანხის გადავადების თხოვნით უამრავმა სტუდენტმა მიმართა. შარშანდელთან შედარებით, ეს ციფრი მკვეთრად გაზარდილია.

აქამდე სტუდენტთა მშობლები როგორც ახერხებდნენ გადასახადის გადახდას – ხან ზღვარს გადასული მომჭირნებოდათ, ხანაც საბანკო სესხის დახმარებით, მაგრამ წელს უკვე სხვა რეალობაა. ფაქტია, რომ ყველა ადამიანის თუ ოჯახის შესაძლებლობასა და ზღვარი აქვს. ამიტომ წელს გადასახადის გადავადების თუ აკადემიური სასწავლო წლის აღების მსურველთა რაოდენობა ერთბაშად გაიზარდა.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში წელს 1090-ით მეტი განაცხადი შევიდა, ვიდრე შარშან, ხოლო ილიას უნივერსიტეტში მათი რაოდენობა გაორმაგებულია.

თსუ-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის განცხადებით, 2012-13 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში უნივერსიტეტში თანხის ეტაპობრივად გადახდასთან დაკავშირებით 1421 განცხადება შემოვიდა. ყველა სტუ-

დენტს, ვინც რეგისტრაციისთვის დადგენილ ვადაში მიმართა უნივერსიტეტს, მოთხოვნა დაუკმაყოფილდა. იგივე ხდება 2013-14 სასწავლო წელსაც, ოღონდ უფრო „მასშტაბურად“. წელს უკვე 2511 სტუდენტი გადასახადის გადავადების მოსურნე.

სტუდენტი, რომელსაც დაფინანსების მოპოვების მიზნით, განაცხადი შეტანილი აქვს მერიამ ან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში, უპრობლემოდ გადასახადის გადახდას მოსთხოვს, ანუ სწავლის საფასურის გადახდის გარეშე ერთგვარად სასწავლო პროცესში, მათ პრობლემა არ ექმნებათ ეტაპობრივი გადახდის შემთხვევაშიც.

ილიას უნივერსიტეტში კი გადასახადის გადახდის მოსურნეთა უფრო გრძელი რიგია.

„უფრო თანხის დაფარვა ეტაპობრივად არის შესაძლებელი. მსურველი წერს განცხადებას კანცელარიაში და ითხოვს თანხის გადახდის გრავიუსს. ფაქტობრივად ამზადებს სტუდენტებს, რომლის სტუდენტობის შემთხვევაში არ უნდა დაირღვეს და სწორედ იმ ვადებში უნდა მოხდეს სწავლის დაწყება, რომელიც დაინახა (გრავიუსი მაქსიმუმ არის 10 თვე, 5 თვე შემოდგომის და 5 გაზაფხულის სემესტრში).“

ამ ხელშეკრულების საფუძველზე სტუდენტს შეუძლია მისი საფასური გაეოს 10 ნაწილად და ყოველთვიე გადახდადოს. არ აქვს მნიშვნელობა აქვს გრანტი თუ არა. ეს ყველაფერი განვირეგია მის ხელშეკრულებაში“, – ამბობს ილიას უნივერსიტეტის მეცნიერებათა და სახელმწიფოებრივი ფაკულტეტის დეკანის თანაშემწე ნათია ბურჯანაძე.

მისი თქმით, გადასახადის გადავადების მსურველთა რაოდენობა წელს მკვეთრად გაზარდილია, გაორმაგებულიც კი. სწავლის საფასურის გადახდა სტუდენტებს, ჩვეულებრივ, ორ ნაწილად შეუძლიათ (სექტემბერი, თებერვალი), თუმცა, სტუდენტების დიდი ნაწილი ვერ ახერხებს თანხის ამგვარად შეტანას და მათ განცხადებების დაწერა უწევთ სწავლის საფასურის ყოველთვიურ განაწილებაზე. ახალგაზრდებისთვის არცთუ ისეთი მარტივი გადასახდელია თანხის დაგვიანებით შეტანის გამო ჯარიმის გადახდაც.

„განცხადების ფორმაში სტუდენტი უთითებს სწავლის საფასურის გადახდას მოსთხოვნის მიზნით და ამ კრიტერიუმით ესაზღვრავთ თუ რომელი თხოვნა დააკმაყოფილოთ. უმრავლესობის თხოვნა კმაყოფილდება. რაც შეეხება ჯარიმას, სტუდენტის განცხადების საფუძველზე, უნივერსიტეტის ფაკულტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან შეთანხმებით, ობიექტური განმარტების გათვალისწინებით, სტუდენტს ჯარიმას უხსნიან“, – აცხადებენ უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში.

უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლების თქმით, სოციალურად დაუცველმა სტუდენტებმა სწავლის დაფინანსების მოთხოვნით განცხადება მერიამ და საქართველოს მეცნიერებათა და განათლების სამინისტროში დაწერეს. ზოგიერთმა მათგანმა აღნიშნულ პუნქტებს სწავლის ღირებულების გადავადების სურვილითაც მიმართეს.

ეკა ბაძრაძე

ლაზიკა თუ ანაკლია?

ანაკლია – ვულკანური ინფრასტრუქტურული პროექტი

მისი თქმით, საჭიროა ამ პროექტის პრობაგანდა, რადგან ანაკლიის პერსპექტივის შესახებ საზოგადოებას ინფორმაცია აკლია, ბიზნესმენებიც კი არ არიან ინფორმირებული და ისიც კი არ იციან, არსებობს თუ არა რეალურად ეს პროექტი.

თუმცა, დემურ გიორგენიძის თქმით, ეს პროექტი არა მარტო არსებობს, იგი უწვრილმანეს დეტალებშია გათვლილი და მზად არის რეალიზაციისთვის. შედეგი კი ძალიან დიდი იქნება, რადგან თვითონ ანაკლიის პორტის ინფრასტრუქტურას უკავშირდება სხვა მოსახურე ინფრასტრუქტურა, რომელიც არა მარტო სამუშაო ადგილებს შექმნის, არამედ ფუნქციურად უზრდის დატვირთვის საქართველოს და მისი რეალური სატრანსპორტო ფუნქცია-დამაკავშირებლის ფუნქცია მძლავრად იქნება წარმოდგენილი.

ექსპერტის შეფასებით, ეს არ არის მხოლოდ შავი ზღვის პორტი, ჩაკეტილი, ვინორ რეგიონალურ ზონებში, არამედ იგი მოიცავს როგორც ევროპას, ასევე, ჩინეთის მიმართულებით არეალს და იქნება აბსოლუტურად თანამედროვე ნაგებობა.

„რამდენადაც ვიცი, საუბრობენ როტერდამის პორტთან დაკავშირებითაც. თუ ანაკლიას და როტერდამის პორტების ფუნქციონალური „შეკერა“ მოხერხდება, ეს საუკეთესო იქნება. ეს გათვლილია პროექტში, ადარაფერს ვამბობ ალმოსავლეთ ევროპის პორტის აუზზე. სულ რამდენიმე წელიწადში შეიძლება საოცრად კარგი რამ ვიხილოთ საქართველოში. ჩვენ ძალიან ძლიერი ინტელექტუალური ძალები გვყავს. ეს მთელ მსოფლიოში ცნობილი პროექტია, ერთადერთი, სა-

ქართველოში არ იცნობენ ამ პროექტს“, – გვითხრა დემურ გიორგენიძემ.

„მშენებლობა ფალსიფიკაციის გარეშე“ ხელმძღვანელი ანზორ საკანდელიძე ადასტურებს, რომ ლაზიკა და ანაკლია სხვადასხვა ტერიტორიაა. ანაკლია, თავისი ბუნებრივი ლანდშაფტით, რელიეფურად და მასშტაბურად გაცილებით მომზადებულია მძიმე მასის გემების შესვლისა და მანევრირებისთვის. უფრო მეტიც, პორტის ინფრასტრუქტურისთვის ანაკლიაში ნაკლები დანახარჯები იქნება.

„აკადემიკოს პაატა გიორგაძის ხელმძღვანელობით, ჩვენ ჩართულნი ვართ ქართული მიწისქვეშა წყლების ჩამოსხმის, დაფასებისა და საზღვარგარეთ გატანის საქმეში, რაც თითქმის ბოლომდეა მიყვანილი, მონახულია ინვესტორი, რომელიც ამ საქმეში 2 მილიარდ 100 მილიონს დებს, თუმცა, ყველაზე დიდი შეფერხება გვექონდა ზუსტად ტვირთის გატანის საქმეში. ამჟამად მთელი საქართველოს გამტარუნარიანობა 50 მილიონ ტონაა. არადა, შეიძლება 1 მილიარდობით ბოთლის გატანა, საამისო მომხმარებელიც არსებობს. ამდენად, რაკი ბატონმა ბიძინამ თქვა, რომ ჩაიდებან 6 მილიარდი და დაიწყება ანაკლიის პორტის მშენებლობა, ამ პროექტმა სულზე მოუწირო ჩვენს პროექტს. სარკინიგზო, საჰაერო გადაზიდვების მხრივ გამტარუნარიანობა გაიზარდა, რაც შეავსებს ამ დანაკლის“, – აღნიშნა ანზორ საკანდელიძემ.

რაც შეეხება სააკაშვილისეულ ლაზიკას, ექსპერტი მიიჩნევს, რომ ეს იყო მორიგი სიგჟე, რაც რეალურ გათვლებს არ ემყარებოდა. ანაკლიის პორტი კი გამართლებულია

ეკონომიკურადაც და ეკოლოგიურადაც. უფრო მეტიც, რაც რუსებმა აფხაზეთის ომის დროს ჩამოგვაჭრეს და ნავარ-თებს, იმაზე უკეთესი გამოვა ანაკლიის პორტი.

ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში გიორგი აბაშიშვილი აცხადებს, რომ დასავლეთ საქართველოში კიდევ ერთი კარგად მოწყობილი, თანამედროვე ადრეტიკული პორტის არსებობა აუცილებელია და ეს იქნება ანაკლია თუ ლაზიკა, უკვე გათვლის საკითხია. ამდენად, რომელიც უფრო მომგებიანი იქნება და, სადაც უკეთესი საპორტო თუ ინფრასტრუქტურის მოწყობის პირობებია, იქ უნდა აშენდეს პორტი.

„საქართველოს, როგორც სატრანზიტო ქვეყნის, ფუნქციის გაძლიერებაზე როცა ვსაუბრობთ, აუცილებლად გვესაჭიროება დამატებითი პორტი. ეს ნიშნავს, რომ ქვეყანა აზიიდან მომავალი ტვირთებისთვის გახდება კიდევ მეტად საინტერესო. ტვირთბრუნვის გაზრდა ნიშნავს, რომ ჩვენი ქვეყნის შემოსავლები პირდაპირპროპორციულად გაიზარდება. გარდა ამისა, ამ პორტის მშენებლობისა და შემდგომ ექსპლოატაციაში შესვლის შემდეგ უამრავი ადამიანი დასაქმდება, რაც როგორც მოკლევადიან, ისე გრძელვადიან პერიოდში ქვეყანას დიდ სამსახურს გაუწევს“, – აღნიშნავს გიორგი აბაშიშვილი.

ამასთან, მისთვის გაუგებარია სააკაშვილის მიზნები, როცა იგი თვალთ უნახავ ლაზიკის პროექტზე მსჯელობდა. ექსპერტი კატეგორიულად გმობს ხელმოწერილ ქალაქების მშენებლობას, რაც საბჭოთა კავშირის სტილი იყო. ასეთი ქალაქები საქართველოს ახსოვს, თუმცა, დღეს ისინი უკვე მოსახლეობისგანაა დაცლილი ან აბსოლუტურად უფუნქციოა და მიიმე სოციალურ ვითარებაშია.

მანანა ნოზაძე

მარიუხლის წინ

პაატა გურასპაული: ფედერაციის პრეზიდენტობაზე არასოდეს მიფიქრია

საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტი პაატა გურასპაული მასმედიაში ვეტერანმა კალათბურთელმა პაატა გურასპაულმა მასმედიას საქართველოს კალათბურთის ფედერაციის გამგეობის გადართობის შესახებ განაცხადი შეიტანა.



გურასპაული რატომ ვერ მოხერხდა მასმედიისთვის გამგეობის გადართობის განცხადება? გამგეობის სხდომა გვიან დასრულდა და ამიტომ უპირიანად ჩავთვალეთ დღეს გაგვეცნოთ თქვენთვის გადართობის განცხადება. ფედერაციიდან ვინ ამირებს საქართველოს არჩევნებში მონაწილეობას? არ ვიცი, გამგეობის სხდომაზე მაგ თემაზე საუბარი არ ყოფილა. უკვე ცნობილია პრეზიდენტობის რამდენიმე მსურველი (გლადიმერ ბოისა, მიხეილ ახვლედიანი, გიორგი მარკოშვილი...).

ფიქრია. ამიტომ პრეზიდენტობის მსურველთაგან მე გამომრიცხეთ. თქვენი აზრით, ვის აქვს კალათბურთის ფედერაციის საქართველოში არჩევნებში გამარჯვების ყველაზე კარგი შანსი? წინასწარ ვერაფერს გეტყვით. ერთის თქმა დანამდვილებით შემძლია - პრეზიდენტობის ყველა კანდიდატი თანაბარ პირობებში უნდა იყოს და მათი ბედი საკალათბურთო სამყაროში უნდა გადაწყვიტოს. პრეზიდენტობის კანდიდატებიდან ფედერაციაში რამდენს აქვს ოფიციალური განაცხადი შეიტანა? ოფიციალური განაცხადი ჯერ არავის შემოუტანია. გამგეობის მიერ განვირგნოთ საქართველოს კალათბურთის ფედერაციის განრიგში არ არის საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო... მიუხედავად იმისა, რომ არსებობს დაპირისპირება საქართველოს სპორტის სამინისტროსა და კალათბურთის ფედერაციის შორის, მათ შესვენდრას მაინც არ გამოვირცხვამ. აქვე მინდა დავამატო, რომ მასმედიის წინასწარ ვეპატიუებით იმ ღონისძიებებზე, რომელთა განრიგაც აქ მყოფი ჟურნალისტებს დაურთავდა.

ვიტალი ჯაფარიძე

ახალი რაპუსტი

მარადონა - ჭეშმარიტი კათოლიკა?!

ნატივ დარჩა კი რაიმე ამბავი და თავგადასავალი, რომელიც ლეგენდარულ არგენტინელ ფეხბურთელს დიეგო მარადონას არ გადასდებია თავს? დიეგო ყოფილია გიჟი და ჭკვიანი, მემარჯვენე და მემარცხენეც, მქალთაყვანია და ოჯახის დიდი მოყვარულიც... მოკლედ რომ ვთქვათ, დიდ არგენტინელს თავგადასავლები არასოდეს მოკლებია, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ყოველთვის დიდ ჯვარს ატარებდა, მორწმუნე მარადონა არავის არ ახსოვს. ამას წინათ კი დიეგო არმანდომ განაცხადა, რომ სიბერეში ჭეშმარიტი კათოლიკე გახდება. არავინ იცის დიეგო მარადონას რელიგიური მეტამორფოზის მიზეზები. ისიც ადვილი შესაძლებელია, რომ თავპირიანი დიეგო ამ ყველაფერს უბრალოდ საპიაროდ იყენებდეს. მაგრამ, მას შემდეგ, რაც არგენტინაში მარადონას სახელობის „დიეგოიანელთა“ სექტა გაჩნდა, მარადონას მხრიდან რელიგიით დიანტერესება ბევრ რამეზე მეტყველებს...



მანუჩარ გიორგაძე

ინტერნეტიდან

არშაგინი ბრიტანელზე გადაირია



ბრიტანთა კუნძულზე მილიონობით თანამემამულესთან ერთად ცხოვრობს და მოღვაწეობს ერთ დროს „მის ინგლისად“ დასახელებული ლამაზმანი, ვინმე ლეილანი და უდინგი. ეს ქალი, უპირველეს ყოვლისა, იმით გახდა ცნობილი, რომ არაერთი პოპულარულ ადამიანს ჩაუგორდა სარეცელში. ლეილანის უკანასკნელი „მსხვერპლი“ რუსი ფეხბურთელი ანდრეი არშაგინი გახლავთ. ანდრეიმ ბრიტანელი მოდელი ლონდონის „არსენალში“ თამაშის დროს გაიცნო და მიუხედავად იმისა, რომ მან მინ ცოლიანი კაცი იყო, ფარულ სატრფოსთან რამდენჯერმე საიდუმლო შეხვედრაც მოაკვარაჭინა. როგორც იცით, არშაგინი ამჟამად თავის სამშობლოში - „ზენიტში“ აგორებს ბურთს, მაგრამ ლეილანი დაუდინგთან ურთიერთობა დღემდე არ გაუწყვეტია და წყვილი უკვე ერთმანეთს საჯარო სივრცეშიც ხშირად ხვდება. ეს ყველაფერი ანდრეის ცოლთან გაშორებამ დაუჯდა, მაგრამ საეჭვოა ოჯახის დანგრევა დიდად ანალვლებდეს...

როსტომ რაჭველიშვილი

განხილვა

ფეხბურთელთა შეხვედრები სხვადასხვა დონეზე რომ უფრო მეტის მომცველია, ვიდრე ორი გუნდის შეხვედრა, ეს აქსიომას წარმოადგენს. ძველად ძალიან ბევრმა ვიცოდით ფორმულა: შრომის ნაყოფიერება არის პიროვნების უნარს პლუს მისი განწყობა. ეს მეორე შესაძლებელი ძალიან დიდი ინტერვალით იცვლება. იგი შეიძლება იყოს უარყოფითი ნიშნით, ე. ი. ცუდი განწყობის პირობებში. იმას, რაც გუშინ შეეძლო პიროვნებას, დღეს ვეღარ ახერხებს. ასეთ შემთხვევებში ახდენს ფეხბურთის მრავალრიცხოვან გულშემატივრებზე ჩვენი ფეხბურთელების თამაში (თუმცა, დღეს, შენს გარდა, ვის სჭირდება შენი შრომის ნაყოფიერება?).

გუნდი, რომელიც მთელი 90 წუთიდან თუნდაც 10 ან 20 წუთს მასირებულად (დიდი ძალებით) შეტევას ვერ ახერხებს, თანამედროვე ფეხბურთში ყოველთვის აუტსაიდერთა რიგებში იქნება. განსაკუთრებულად მიუღებელი მდგომარეობაა ქვეყნის ეროვნულ ჩემპიონატში. ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ბატონმა სიჭინავამ ამ რამდენიმე თვის წინათ განაცხადა, რომ ფეხბურთში არის ბევრი ფული და ჩვენ ამ ფულის საშოვნელად ვიღვანეთო. მხოლოდ ასეთი მოტივის მქონე ფეხბურთის თავკაცების ქართულ ფეხბურთში სასიკეთოს ვერაფერს გააკეთებენ. სამაგალითოდ ბოლნისის „სიონში“ განვითარებული მოვლენე-



ბოლნისის „სიონს“ დაფუძნებთან დაკავშირებულია დაფინანსება. „მადნეულის“ გაყიდვის შემდეგ მყიდველს ხელშეკრულებაში ჩაუნებ-

სპორტული თამაშები უფრო მეტია, ვიდრე თამაშები პირდაპირი ბაზებით

საფრანგეთის ეროვნულ ნაკრებთან შეხვედრის წინ საქართველოს ეროვნული ნაკრების მწვრთნელმა ბატონმა ქეცბაიამ განაცხადა: „მე რომ გითხრაო, ჩვენი გუნდი შეტევაზე ითამაშებს, მოგატყუებო“.

ბოლნისის „სიონს“ დაფუძნებთან დაკავშირებულია დაფინანსება. „მადნეულის“ გაყიდვის შემდეგ მყიდველს ხელშეკრულებაში ჩაუნებ-



ბატონ ქეცბაიას რომ ეთქვა კიდევაც, ეროვნული ნაკრები შეუტევსო, ფეხბურთის ჩვენი გულშემატივრები მას მაინც არ დაუჯერებდნენ, რადგან საქართველოს ნაკრებმა არ იცის შეტევა, რაც თითქმის ყველა შეხვედრაში მტკიცდება. კენჭისყრის შემდეგ, როდესაც საქართველოს ეროვნული ნაკრები ესპანეთსა და საფრანგეთთან ერთად ერთ ჯგუფში მოხვდა, ბატონმა ქეცბაიამ მანინე განაცხადა, ჯგუფიდან გასვლა წარმოუდგენელიაო. თუ იცი, რომ ჯგუფიდან ვერ გასვლა, შენც ადვილი და შეტევა ასწავლე გუნდს, ასწავლე ის, რაც უყვარს არა მარტო გულშემატივრებს, არამედ თვით ფეხბურთელებსაც. როცა ის გუნდი გამოდის შეხვედრაზე, რომელშიც ერთი მეკარე და ათი ჩამოშლილი ფეხბურთელია, ე. ი. გუნდის მიზანია მონინალმდევის თამაშის ჩაშლა, ასეთი გუნდი შეტევას ვერ ისწავლის. ამიტომ არის, რომ ჩვენი ეროვნული გუნდი თუ თამაშს მოიგებდა, მხოლოდ ერთი „ჩხინკი“ ბურთის გატანით.

რეს „სიონს“ დაფინანსება. ნაციონალების დროს „სიონს“ იურიდიული სტატუსი შეუცვალეს, რუსთაველაში გადაიყვანეს, ხოლო გუნდის კუთვნილი დაფინანსება „მადნეულიდან“ ვინ მოისაკუთრა, არავინ იცის. დღეისათვის „სიონის“ დაფინანსება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ხდება. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ხდება აგრეთვე დედაქალაქის მიხეილ მესხის სახელობის სტადიონის დაფინანსება, სადაც „სი-

ფეხბურთი

დასამტკიცებელი კიდევ ბევრია

უთმინის, უთმინეს „გალათასარაის“ ბოსებმა „სტამბოლური ლომის“ ლეგენდარულ თავკაცს ფათიჰ-თერიმის მისი გუნდის დაღმასვლა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ჩემპიონთა ლიგის სტარტზე თურქები შინ „რეალთან“ განადგურდნენ - 1:6, თანაც ეროვნული ჩემპიონატის სატურნირო ცხრილში უჩვეულო მე-12 პოზიციამდე დაეშვნენ, მათი მოთმინების ფილა აივსო... ალბათ, ბედის ირონიაა, რომ „გალას“ ახალ მთავარ მწვრთნელს რობერტო მანჩინის სადებიუტო შეხვედრის გამართვა სამშობლოში „იუვენტუსთან“ მოუწია.



და ფელიპე მელოც, რომელიც რამდენიმე წლის წინათ სწორედ „ბებერი ქალბატონის“ ღირსებას იცავდა და ყოველ კლუბთან გამოთხოვება სკანდალის თანხლებით მოუხდა. I ტურის შეხვედრაში „ა“ ჯგუფი „ლევერკუზენი“ - „სოსიედალი“ 2:1, „შახტარი“ - „მანჩესტერი“ 1:1. „მანჩესტერი“, „შახტარი“ - 4-4, „ლევერკუზენი“ - 3, „სოსიედალი“ - 0 ქულა. „ბ“ ჯგუფი „იუვენტუსი“ - „გალათასარაი“ 2:2, „რეალი“ - „კოპენჰაგენი“ 4:0.

ინგლისიდან აპენინებზე დაბრუნებულ ამბიციურ სპეციალისტს, სადაც მან „სიტის“ პრემიერლიგა მოაგებინა, დასამტკიცებელი კიდევ ბევრი აქვს. ჰოდა, ისიც წარმატებით შეუდგა საქმეს - 2:2. ვერ გეტყვით, ჯადოსნური ჯოხის აქნევის ბრალია თუ სხვა რამის, მაგრამ ტურნირის სტადიონზე დროგადაც ძველდროგადაც ჰგავდა, სწეიდერიც, მუსლერაც



„რეალი“ - 6, „იუვენტუსი“ - 2, „კოპენჰაგენი“ - „გალათასარაი“ - 1:1 ქულა. „ბ“ ჯგუფი „პარი სენ-ჟერმენი“ - „ბენფიკა“ 3:0, „ანდერლექტი“ - „ოლიმპიკოსი“ - 0:3. „პარი სენ-ჟერმენი“ - 6, „ოლიმპიკოსი“, „ბენფიკა“ - 3-3, „ანდერლექტი“ - 0 ქულა. „დ“ ჯგუფი „სიტი“ - „ბაიერნი“ 1:3, ცსკა - „პლზენი“ 3:2. „ბაიერნი“ - 6, „სიტი“, ცსკა - 3-3, „პლზენი“ - 0 ქულა.

გიორგი შოთაძე

გაოფენა

მემრა წარსულის სარკეში

„ახალგაზრდობ არტიტების თვლით დანახული 1990-იანი წლები“ – ასე ეწოდება საქართველოს წელიწადის საკვანძოების პროექტს, რომლის ფარგლებში 3 ოქტომბერს, გამომცემლობა „სამშობლოს“ ყოფილ, ამჟამად კი კომპანია „აჭარაბეთის“ კუთვნილი შენობის სარდაფში გაიმოწვინა „90-იანი წლების საქართველო“ გაიხსნა.

უჩვეულო ვერსიისაჟის მოწყობის იდეა თბილისის სამხატვრო აკადემიის სტუდენტთა ერთ ჯგუფს, მათ შორის სოფიო კობიძეს, მარიამ ნიქარიძეს, მარიამ ლორიას, ირინა ბალანჩივაძეს და მათ მეგობრებს ერთგვარად სპონტანურად გაუჩნდათ. მერე დედაქალაქის სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის, ასევე გერმანიის ქალაქ დიუსელდორფში მოსწავლე თანატოლ მეგობრებს დაუკავშირდნენ და ერთად სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ბავშვთა და ახალგაზრდობის ფონდს მიაკითხეს,

სადაც ჩანაფიქრი მოუწონეს და დაფინანსებაც გამოუყვეს. საინტერესო წამოწყებას მხარი მთავარმა სპონსორმა კომპანია „აჭარაბეთმა“ აუბა, რომელმაც საგამოფენო სივრცე უსასყიდლოდ გადასცა, თანასპონსორმა კომპანია „აჭარაბეთმა“ „აბკ ედვერთაინგმა“, „მოზაიკამ“ და „თელავის ღვინის მარანმა“ კი სარეკლამო კომპანია უზრუნველყვეს – უმაღლეს სასწავლებლებში აფიშები გამოიკრა, ბუკლეტები ახალგაზრდობის თავშეყრის პოპულარულ ადგილებში გავრცელდა.

გამოფენაზე ახალგაზრდა შემოქმედებმა – მხატვრებმა, არქიტექტორებმა, მუსიკოსებმა, მოქანდაკეებმა სხვადასხვა ჟანრის ნამუშევრები წარმოადგინეს, რომლებიც გასული საუკუნის მშფოთვარე 90-იანი წლების, მათი ბავშვობის ხანის საკუთარ აღქმას გამოხატავენ. მუსიკალური თანხლებით მნახველები, რომელთა შორის ჩვენი მრავალი ცნობილი თანამოქალაქე გახლდათ, ფერწერულ და



გრაფიკულ ნამუშევრებს, ვიდეო-ინსტალაციებს, ასევე ჩვენი კოლეგის, ცნობილი ფოტოხელოვნის გურამ ნიბახაშვილის იმდროინდელ ფოტოებს გაეცნენ.

შინაარსით, გაფორმებით ჯერაც ბოლომდე დაუსრულებელ სივრცეში უჩვეულო ვერსიისაჟის მომწყობნი 10 ოქტომბრამდე იმ მღელვარე ხანის შესახებ უფრო მეტი ინფორმაციის მიღებას აპირებენ, რა მიზნითაც საზოგადოების ცნობილ წევრებთან, მათ შორის ხელოვნებთან, ჟურნალისტებთან შეხვედრებს გეგმავენ. პირველი ასეთი შეხვედრა კვირას, 6 ოქტომბერს ფოტოხელოვან გურამ ნიბახაშვილთან, ჟურნალისტ თეონა ჯაფარიძესთან და დიზაინერ ნინო ჩუბინიშვილთან გაიმართება.

„ჯგუფი 1990-იანი წლების საქართველოს თემაზე ნამუშევრების შექმნის და ფართო საზოგადოებისთვის გაცნობის იდეის გარშემო გაერთიანდა, ვინაიდან მისმა წევრებმა მნიშვნელოვნად მიიჩნიეს ასახონ წლები, რომლებთანაც არა მხოლოდ ისტორიულად, არამედ მორალურად და ფსიქოლოგიურად არიან დაკავშირებული“, – აღნიშნულია გამოფენის ბუკლეტში.



ში. წარსულისადმი ეს ინტერესი, მასში უკეთ გარკვევის წადილი ახალგაზრდობში, რომელთა დიდი ნაწილი უკვე დამოუკიდებელ შემოქმედებას ეწევა, ცხადია, დიდად სასიხარულო და მისასალმებელია. მით უმეტეს იმის გათვალისწინებით, რომ მათ არა თუ შორეული 90-იანი წლების შესახებ, არამედ ბოლო წლების ამბებიც, მაგალითად, იმ, ახლა უკვე გასვსისებური ყოფილი გამომცემლობა „სამშობლოს“ შენობიდან, სადაც მათი გამოფენა იმართება, ჟურნალისტების სამარცხვინო გამოსახლების შესახებაც, ფაქტობრივად, არაფერი იციან.

ჟურნალისტთა მრავალრიცხოვანი კორპუსის სახელით ჩვენი გაზეთის რედაქციის კოლექტივი მიესალმება გამოფენის ორგანიზატორებს, მონაწილეებს და წარმატებას უსურვებს შემოქმედებით საქმიანობაში.

ოთარ ტურაბალიძე
სურათიზამთა: გამოფენის ექსპონატები; საორგანიზაციო ჯგუფის წევრები: მარიამ ნიქარიძე, სოფიო კობიძე და ირინა ბალანჩივაძე.
ელგუჯა ნადაბიშვილის ფოტო.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის 1958 წლის კურსდამთავრებულები ღრმა მწუხარებით იუწყებიან დამსახურებული ექიმის, თანაკურსელის
ანზორ სინსაძის
გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს. გამოსვენება 5 X, საბურთალოს ამაღლების ეკლესიიდან, 14 სთ.

რობერტ ბაბლიძე ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაცვალებული ქართველი კაცი, გულანთებული პატრიოტი, უზადო პიროვნება, მრავალმხრივი ნიჭიერებით გამორჩეული პიროვნება, ცნობილი ქირურგი
ანზორ (ჯუბი) სინსაძე
და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახსა და სანათესაოს.

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77;
599 32-85-76.



გაითვალისწინეთ!

აქტიური პროცესები ოქტომბერში

ოქტომბერში გეოფიზიკური აქტივობის გაძლიერება მოსალოდნელია: 1, 5-8, 11-20, 25, 27, 29 რიცხვებში. ამ დღეებში მოსალოდნელია ციკლონებისა და გრიგალების ჩამოყალიბება, ყველა სახეობის ავარიულობის ზრდა, სეისმოაქტიურობის და სოციალური დაძაბულობის გაძლიერება.

7 – მთვარე მარსთან და სატურნთან შებრუნებული პერიოდის კონიუნქციის შემთხვევაში. ვენერა გადადის მზვიდლსის ნიშანში. შეიძლება შეინიშნებოდეს ურთიერთობათა პრობლემები, აზროვნების დარღვევა, აგრეთვე სპაზმები, ნევრალგია. მეტად სააღბათოა შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებათა გამწვავება, პრობლემები ხელებთან და სასუნთქ ორგანოებთან დაკავშირებით. ქრონიკული დაავადებათა გამწვავება. სხეული თბილად უნდა გვექონდეს, განსაკუთრებით ფეხები და მენჯის არეში. არ უნდა ავნიოთ სიმძიმეები, ვანარმოთ მძიმე ფიზიკური სამუშაო, ნამოვიწყოთ ახალი საქმეები. ყურადღებით იყავით ფულთან დაკავშირებით, როდესაც რაღაცის ყიდვას აპირებთ.

8 – მთვარე-ვენერას შებრუნება. შესაძლებელია ღვიძლის, სისხლის, მენჯის სახსრების დაავადებანი. საჭიროა უარი ვთქვათ მაღალკალორიულ საკვებზე, დავიცვათ დიეტა, გამოვიყენოთ მხოლოდ ხარისხიანი პროდუქტები, გამოვირიცხოთ ალკოჰოლი. ეცადეთ დაიცვათ ტონუსი, ვინაიდან განზიბებას და იუმორის დაკარგვის გრძობას მიყვავართ დაავადებათა გართულებასთან. გაუფრთხილდით ნერვულ სისტემას, ერიდეთ ორპირ ქარებს, გაციებებს, უხარისხო პროდუქტებს. ეცადეთ არ ჩაებათ დავებში და კონფლიქტებში, მეტხანს იყავით სუფთა ჰაერზე, შეიძლება დაიწყოს გამაჯანსაღებელი პროგრამა, გაიკეთოთ მასაჟი და სუნთქვითი ვარჯიშები (ექიმთან შეთანხმებით). რაიმეს ყიდვის დროს არის შანსი დაკარგოთ მეტი, ვიდრე გეგმავდით.

11 – მთვარე-აპულონის შებრუნება. შესაძლებელია სასიცოცხლო ძალების დასუსტება, ემოციური ტონუსის დაქვეითება, მძიმე პასუხისმგებლობის მტანჯავი გრძობა, დაძაბულობა ხელმძღვანელობასთან ან ოჯახის უფროს წევრებთან. დიდია ხერხემლის, ძვლების და სახსრების, აგრეთვე შარდ-სასქესო ორგანოებისა და კანის დაავადებათა გამწვავების ალბათობა.


ბა. სახიფათოა მძიმე და ინტენსიური ფიზიკური გადატვირთვა და გაციება.

12 – მთვარის პირველი იმითხედი. შესაძლოა, ნერვიულობამ და გაღიზიანებამ მიგვიყვანოს კონფლიქტებში და ტრავმატიზმთან. არის ქრონიკულ დაავადებათა გამწვავების ალბათობა, დასუსტებულია თვალეები, ნერვული სისტემა, სმენის ორგანოები, ვენები და ფეხები, არ არის გამორიცხული მთლიანი სისუსტე და ანემია. ერიდეთ სტრესებს და კონფლიქტურ სიტუაციებს. შეიძლება გეგმების აგება, ახალი საქმეების წამოწყება, ინტელექტუალური და შემოქმედებითი სამუშაოს დაწყება, დასვენება, ძალების აღდგენა.

15 – მთვარე-ნეპტუნის შებრუნება. შეიძლება შეინიშნებოდეს გაფანტულობა, ცაში ფრენა, ფსიქიკის დარღვევა, შიში, ნევროზები, საკუთარ თავში დაურწმუნებლობა. არ არის გამორიცხული ღვიძლის, ინფექციური დაავადებანი, ტკივილები ტერფებში, შესიება, ალერგია. ერიდეთ ტრავმატიზმს, სიცრუეს და თვითსიცრუეს. უარი თქვით ალმგზებ საშუალებებზე, დაიცავით დიეტა. ნამლები დღეს მეტად ძლიერად მოქმედებენ, სახიფათოა ალკოჰოლი. სასარგებლოა ტერფების მასაჟი, წყლის პოცედურები დღის განმავლობაში. მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტა უმჯობესია გადავლოთ.

19 – სრული მთვარე, მთვარის აბანოება. დაბნელების დღეს და წინა დღით სასურველია უარი თქვათ ცხოველურ საკვებზე, ალკოჰოლსა და მონევაზე. ეცადეთ, თავი აარიდოთ ნეგატიურ აზრებს, გაღიზიანებასა და სიკვითეს, შეინარჩუნეთ სიმშვიდე და კეთილგანწყობილება. შესაძლებელია ცხვირის და სასუნთქი გზების დაავადებანი, ფილტვების და ბრონქების დასუსტება, ფარისებრი ჯირკვლის, ნერვული სისტემისა და საკვები გზების მოუნესრიგებლობა. ერიდეთ გაციებას, ორპირ ქარებს, ანგინას, უხარისხო საკვებ პროდუქტებს, ნუ დაძაბავთ ხმის იოგებს. სასარგებლოა წყლის პროცედურები, მცირედი შეზღუდვები ჭამაში.

26 – მთვარე-იუპიტერის შებრუნება. შესაძლებელია ალგზიულობა, გაღიზიანება და ექვიანობა, სურვილი იმისა, რომ ვიყო ყურადღების ცენტრში, ვუხელმძღვანელოთ ყოველივეს. არსებობს რადიკულიტის, ჰიპერ-



ტონული კრიზების, ინსულტებისა და ინფარქტების საფრთხე, ღვიძლის და ნაღვლის ბუშტის დაავადებათა გამწვავება, კუჭ-ნაწლავთა ტრაქტის მუშაობის დარღვევა. აუცილებელია გაუფრთხილდეთ გულსა და ნერვულ სისტემას, ვერიდოთ მძიმე ფიზიკურ და გონებრივ დატვირთვებს, სიმძიმეების გადატანას, სტრესებს და კონფლიქტებს, ზედმეტი საკვების, მძიმე და ცხარე საკვების, ტკბილეულისა და სპირტიანი სასმელების მიღებას. სასარგებლოა ჰაერის აბაზანები, მსუბუქი გასეირნებანი, ბინის კეთილმოწყობა, სრულფასოვანი ძილი, საყვარელი საქმეები. ქება და კომპლიმენტები ყველაზე იმოქმედებს მეტად ნაყოფიერად.

27 – მთვარის უპანასკნელი იმითხედი. მოსალოდნელია ატმოსფერული წნევისა და ტემპერატურის ვარდნები. შესაძლებელია ძალების დაქვეითება, ცუდი განწყობილება, ქრონიკულ დაავადებათა, გულისა და სახსრების ტკივილების, ინფექციურ დაავადებათა, შესიების გამწვავება. რეკომენდებულია შევამციროთ ფიზიკური დატვირთვა, გაუფრთხილდეთ გულსა და ნერვულ სისტემას, არ ჩაებათ კონფლიქტებში, ცვათ სუფთა წყალი. სასარგებლოა სუფთა ჰაერი, მსუბუქი გასეირნება, სრულფასოვანი ძილი, არომატული აბაზანები. კარგია დაწყებული საქმეების დამთავრება.

29 – მთვარე-მარსის შებრუნება. სააღბათოა კუჭ-ნაწლავთა ტრაქტის, ღვიძლის, გადამდები და ინფექციური დაავადებები. გადატვირთვამ შეიძლება გამოიწვიოს უძილობა, ნერვიულობა, უყურადღებობა, კოორდინაციის დარღვევა, რამაც შეიძლება ტრავმატიზმთან მიგვიყვანოს. არ არის გამორიცხული თავის ტკივილები, უარი თქვით ცხმიან და ცხარე საკვებზე. დაიცავით დიეტა, ძილისა და დასვენების რეჟიმი, ერიდეთ ტრავმატიზმს, ფრთხილად იყავით ცეცხლთან, წვეტიან საგნებთან, ტრანსპორტის მოგზაურობის დროს, ერიდეთ, რომ არაფერს მიარტყათ თავი. ხელსაყრელი დროა ინტელექტუალური საქმიანობისთვის, სერიოზული მკურნალობის დაწყებისთვის, პროფილაქტიკური ღონისძიებებისთვის.

